180
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1982 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1982 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და მათი ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

60. საქართველოს სს რესპუბლიკაში კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

61. პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ხარისხის ამაღლებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

62. აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რაიონული ორგანოს სახელწოდების შეცვლის შესახებ.

63. რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

64. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის შემდგომი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

65. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. გ. ყაუხჩიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

66. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო სამეურნეო საწარმოებში მეცხოველეობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა დამკვიდრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67. „არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების დანართში რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქების ნუსხის დამატების შესახებ.
68. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
69. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში მისი როლის ამაღლების შესახებ.
70. საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ.
71. საქართველოს სსრ სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.
72. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.
73. საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ე. ა. მანჯგალაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17360

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

59 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და მათი ეკონომიკის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ[1])

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ხარისხის გაუმჯობესებით მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 434 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ჩამოეწეროთ დაბალრენტაბელურ და ზარალიან კოლმეურნეობებს 1982-1985 წლებში დასაფარავი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხების განვადებული დავალიანება, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაუბრუნებელი სესხების დავალიანება სულ 11 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც განაწილდეს რესპუბლიკის რაიონების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

განევადოთ დაბალრენტაბელურ და ზარალიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 10 წლით, მოყოლებული 1991 წლიდან დაფარვით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხების წინათ განვადებული და დაუბრუნებელი დავალიანება სულ 31 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის კოლმეურნეობებს — 14 მილიონი მანეთი, აქედან მოკლევადიანი სესხი — 7,9 მილიონი მანეთი და გრძელვადიანი სესხი — 6,1 მილიონი მანეთი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს — 12,7 მილიონი მანეთი და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს — 4,3 მილიონი მანეთი, რაც განაწილდეს რაიონებისა და მეურნეობათა კატეგორიების მიხედვით, № 2-4 დანართების თანახმად.

განთავისუფლდნენ დაბალრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის იმ სესხების პროცენტების გადახდისაგან, რომელთა დაფარვა განვადებულია ამ დადგენილების შესაბამისად.

2. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით საჭიროების კვალობაზე გადაანაწილონ 1982 წლის 1 ნოემბრამდე ჩამოწერისა და განვადების ლიმიტი რესპუბლიკის მეურნეობების მიერ მათი აუთვისებლობის შემთხვევაში.

---

1) დანართი არ იბეჭდება.

ს. მარქსის სახ. საქ. სსრ

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გააძლიერონ კონტროლი კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებისა და საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, მიმდინარე საწარმოო ხარჯებისა და კაპიტალური დაბანდებებისათვის მიცემული კრედიტების ეფექტიანად გამოყენებისადმი, აგრეთვე ამ კრედიტების დროულად დაბრუნებისადმი.

4. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო საწარმოებში მეურნეობის განმტკიცებისა და გაფართოების ფონდი იქმნება მეურნეობათა მოგების ხარჯზე მისი 5 პროცენტის ოდენობით და გამოიყენება კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის გადამეტებით.

5. სოფლის მეურნეობის მოწეული პროდუქციის უფრო სრულად გამოყენებისათვის, მისი შენახვის, გადამუშავებისა და მომხმარებლებამდე მიტანის გაუმჯობესებისათვის დამამზადებელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანებებმა „საქჩაიმ“, „სამტრესტმა“, „საქეთერზეთმრეწვმა“ და ცეკავშირის გამგეობამ დაამთავრონ მეთორმეტე ხუთწლედში ყველა მეურნეობის გადასვლა უშუალოდ ადგილებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებაზე დამზადების გეგმის სრული მოცულობით.

6. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ჩაატარონ დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან შეთანხმებით ექსპერიმენტები მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფის, მომსახურე საწარმოებთან და ორგანიზაციებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე დაგეგმვის, დაფინანსების, დაკრედიტების, მატერიალური სტიმულირებისა და სხვა საკითხებზე, ამასთან მხედველობაში იქონიონ წარმოების ზრდის რეზერვების რაც შეიძლება სრულად გამოყენება და მისი ეფექტიანობის ამაღლება.

7. საქართველოს კპ საოლქო, რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიხილონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის საკითხი, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის უზრუნველყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, არამწარმოებლური ხარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის ამაღლებას, საბიუჯეტო ასიგნებათა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.

8. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 434 დადგენილებით:

ა) 1983 წლის 1 იანვრიდან დიდდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, რძის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის შესასყიდი ფასები და შემოღებულ იქნება დაბალრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რეალიზებული პროდუქციის შესასყიდი ფასების დანამატები წელიწადზე გაანგარიშებით სულ 16 მილიარდი მანეთის ოდენობით;

ბ) კოლმეურნეობებზე, რომლებიც საკმარისად არ არიან აღჭურვილი ძირითადი ფონდებით და არ გააჩნიათ საკუთარი სახსრები გაფართოებული კვლავწარმოების განსახორციელებლად, ვრცელდება საბჭოთა მეურნეობებისათვის მოქმედი წესი, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ფინანსდება შემდეგი საგეგმო დანახარჯები:

— საცხოვრებელი სახლების, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, კლუბებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კომუნალური მეურნეობის სხვა ობიექტების, აგრეთვე შინასამეურნეო გზების მშენებლობისათვის.

აღნიშნული მშენებლობის დაფინანსება განხორციელდება დადგენილი წესით დამტკიცებული ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფილი კოლმეურნეობების კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტის ფარგლებში;

— საბავშვო სკოლამდელი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პიონერთა ბანაკების შენახვისათვის, მათ შორის დანახარჯები კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენად და კულტურულ-მასობრივი მუშაობის განსახორციელებლად, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დაწესებული ნორმების ფარგლებში;

— სადაზღვევო გადასახდელთა გადახდისათვის (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 1 ივნისის № 499 დადგენილებით გათვალისწინებული წესით);

გ) დაევალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსაზღვროს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწი-

ფო ბანკთან შეთანხმებით იმ მეურნეობათა რიცხვისათვის კოლმეურნეობების მიკუთვნების პირობები, რომლებზეც ვრცელდება ამ დადგენილების მე-8 პუნქტის მეორე ქვეპუნქტის მოქმედება, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს — დაამტკიცონ აღნიშნული პირობების შესაბამისად ამ მეურნეობათა ნუსხები;

დ) მიზანშეწონილად ჩაითვალა დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები იხდიან საშემოსავლო გადასახადს:

— წმინდა შემოსავლიდან რენტაბელობის ყოველი პროცენტისათვის;

25-დან 30-მდე — 0,1 პროცენტს;

30-დან 40-მდე — 0,2 პროცენტს;

40-დან 50-მდე — 0,4 პროცენტს;

50 პროცენტზე მეტი — 0,5 პროცენტს, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა დაბეგრილი წმინდა შემოსავლიდან.

საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე გავრცელდა მოგების ანარიცხების ბიუჯეტში გადახდის ასეთივე წესი. ამასთან დაკავშირებით გაუქმდა საბჭოთა მეურნეობების გადასახდელები ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის:

— კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ფონდის ნაწილიდან, რომელიც აღემატება 70 მანეთს თვეში კოლმეურნის მეურნეობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით, 8 პროცენტის ოდენობით;

ე) დაევალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს ექვსი თვის ვადაში ნორმატიული აქტების პროექტები:

— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფართოებული კვლავწარმოების მყარი ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფის მიზნით სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის შესახებ;

— სოფლის მეურნეობის მომსახურე საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების დაგეგმვისა და გამოყენების მოქმედ წესში და ბიუჯეტთან მათ ურთიერთობაში საჭირო ცვლილებათა შეტანის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს აღნიშნულ პროექტებში.

საკსახსოფლტექნიკის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, საკსოფლქიმიის საწარმო-ორგანიზაციების და მომსახურების სფეროს სხვა საწარმო-ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერება სამუშაოთა შესრულებისა და მომსახურების გაწევის ხარისხისა და ვადებისათვის;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურე საწარმო-ორგანიზაციების დაინტერესების გაძლიერება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავების პროდუქტების წარმოების მაღალი საბოლოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგების მიღწევით, პროდუქციის მომხმარებლამდე დროულად მიტანით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდით;

ვ) დაწესდა, რომ:

— სოფლტექნიკისა და სოფლქიმიის რაიონული გაერთიანებები ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები, ძირითადად მომსახურებულ რაიონებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის (წარმოების) მოცულობის შესაბამისად;

— საკსახსოფლტექნიკის, საკსოფლქიმიის რაიონული საწარმოებისა და ორგანიზაციების, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წყალსამეურნეო და საექსპლუატაციო ორგანიზაციების და აგროსამრეწველო გაერთიანებებში შემავალი სხვა საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა პრემირების მოქმედი წესის შესაცვლელად აღნიშნულ მუშაკებსა და სპეციალისტებს პრემიები მიეცემათ წლის შედეგების მიხედვით წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით მომსახურებულ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდისა და მოგების ზრდისათვის, ხოლო წლის განმავლობაში — სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. ამასთან მიმდინარე პრემირების მიხედვით გასაცემი პრემიების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში მუშაკის 1,5 თვის სარგოს;

— მოყოლებული 1983 წლიდან, დამამზადებელი საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების, ამ საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ეკონომიკური სტიმულირებისა და პრემირების ფონდების შექმნისას დამზადების გეგმის შესრულების მაჩვენებელი ერთ-ერთი ძირითადია;

ზ) დაევალათ სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად გადასინჯონ დადგენილი წესით ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც რეგულირდება სოფლის მეურნეობის ურთიერთობა გადამმუშავებელ, დამამზადებელ და სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციებთან, რათა შეიქმნას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, მისი ხარისხის ამაღლებისათვის, სრულად გამოყენებისა და მომხმარებლამდე მიტანისათვის საჭირო პირობები;

თ) მიზანშეწონილად ჩაითვალა არსებობდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის სადარგთაშორისო ინსპექციები რაიონებში, ოლქებში, მხარეებში, ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებში და ცენტრში; დაეკისროთ ამ ინსპექციებს კონტროლი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ რეალიზებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხისადმი, სტანდარტების დაცვისადმი, პრო-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციის შესყიდვისა და ანგარიშსწორების დროს მისი ხარისხის სწორად განსაზღვრისადმი, დანაკარგებისა და გაფუჭების თავიდან აცილებისადმი;

ი) დაევალათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს შეიმუშაონ წინადადებანი ამ ინსპექციების სტატუსის, სტრუქტურისა და საშტატო რიცხოვნობის შესახებ და წარუდგინონ ისინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს;

კ) დაევალათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმომარაგებასა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარუდგინონ განსახილველად სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ, ამასთან იხელმძღვანელონ შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

— აგროსამრეწველო კომპლექსის საქმიანობა იგეგმება როგორც ერთი მთლიანი, ამ კომპლექსში შემავალი დარგების მიხედვით დაყოფილი;

— იგეგმება მხოლოდ ის მაჩვენებლები, რომლებიც დაწესებულია პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით, ხოლო სოფლის მეურნეობაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 ნოემბრის № 1032 დადგენილების შესაბამისად;

— საგეგმო დავალებები უზრუნველყოფილია საჭირო მატერიალური და სხვა რესურსებით;

— რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობანი ფორმირდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გეგმების საფუძველზე, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დაწესებული გეგმების უცილობლივ შესრულება;

— მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმები დგება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განაცხადების საფუძველზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	**საქართველოს სსრ** **მინისტრთა საბჭოს** **თავმჯდომარის მოადგილე** **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 14 სექტემბერი, № 657

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 საქართველოს სს რესპუბლიკაში კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ[1])

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა რესპუბლიკაში კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის შემდგომი განვითარებისათვის. კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკაში ამ პერიოდში გაიზარდა 33,1 პროცენტით, მაშინ როცა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მატებამ შეადგინა 16,6 პროცენტი.

ამასთანავე კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციაში, დაგეგმვასა და მართვაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, არ ხორციელდება სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის მუშაობის სადარგთაშორისო კოორდინაცია.

რესპუბლიკაში კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის განვითარების დაჩქარებისა და მოცულობის გაფართოების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გაადიდონ 1985 წელს კონტეინერებით გადაზიდული ტვირთის მოცულობა 1.200 ათას ტონამდე, რაც განაწილდეს წლების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ:

— უზრუნველყოს 1982—1985 წლებში მექანიზებული სატვირთო ეზოების მშენებლობა და საკონტეინერო პუნქტების რეკონსტრუქცია სამტრედიის, არგვეთის, თელავისა და ბათუმის სადგურებში მათი ტვირთგადამუშავების უნარიანობის გადიდების მიზნით;

— მოაწყოს ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში საკონტეინერო პუნქტების მომსახურე ექსპედიციების ორცვლიანი მუშაობა;

— უზრუნველყოს ლვოვის რკინიგზისა და ლვოვის ოლქის საწარმოების მეთოდისამებრ კონტეინერების პირველ რიგში მიწოდება დასატვირთად იმ გამგზავნი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ასრულებენ საკონტეინერო პარკის გამოყენების საგეგმო დავალებებს.

3. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს, მოყოლებული 1982 წლიდან, ყოველწლიურად საკუთარი ძალებით 200—200 საავტომობილო კონტეინერის დამზადება;

— კეთილმოაწყოს და აღჭურვოს შესაბამისი მექანიზმებით არსებული საკონტეინერო პუნქტები, გაადიდოს 1985 წლისათვის მათი რაოდენობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, № 2 დანართის თანახმად;

---

1) დანართი არ იბეჭდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოს 1982 წლის ბოლომდე ქ. თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში საკონტეინერო პუნქტების მომსახურება კონტეინერსაზიდი ავტომობილებით, ორცვლიანი მუშაობის ორგანიზაციის გათვალისწინებით;

— მთლიანად დააკმაყოფილოს რკინიგზის სადგურების განაცხადები კონტეინერების გამოსაზიდი ავტომობილების გამოსაყოფად და მიაღწიოს კლიენტურის მიერ ავტომანქანების მოცდენის ნორმების დაცვას;

— რკინიგზის სადგურებში დიდტონაჟიანი (20 ტონამდე) კონტეინერების გადასამუშავებელი პუნქტების გახსნის კვალობაზე დროულად შეავსოს შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საწარმოების პარკი საწევრებითა და ნახევარმისაბმელებით მათ გამოსაზიდად;

— უზრუნველყოს ტვირთების მიღება სპეციალიზებულ კონტეინერებში და დაპაკეტებული სახით ტვირთგამგზავნი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად.

4. რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა და უწყებებმა, მოყოლებული 1983 წლიდან, წარუდგინონ საქართველოს სსრ სახმომარაგებას წინადადებანი უნივერსალური და სპეციალიზებული კონტეინერებით და დაპაკეტებული სახით პროდუქციის მიწოდების მოცულობის შესახებ, ამასთან აღნიშნონ მისი გადაზიდვისათვის საჭირო ტრანსპორტის სახეობანი (მათ შორის პირდაპირი შერეული მიმოსვლით), აგრეთვე ღონისძიებანი სატრანსპორტო ტარის წარმოებისათვის მატერიალური დანახარჯების შემცირების შესახებ კონტეინერებითა და დაპაკეტებული სახით ტვირთის გადაზიდვის მოცულობის ზრდის შესაბამისად.

5. დაეკისროს საქართველოს სსრ სახმომარაგებას:

— განახორციელოს კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის განვითარებისათვის სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის სადარგთაშორისო შინარესპუბლიკური კოორდინაცია;

— განიხილოს და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას, მოყოლებული 1983 წლიდან, ამ დადგენილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროთა და უწყებათა წინადადებანი;

— დაუწესოს, მოყოლებული 1982 წლიდან, რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნივერსალური და სპეციალიზებული კონტეინერებით და დაპაკეტებული სახით პროდუქციის მიწოდების დავალებანი.

გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა შეიტანონ ეს დავალებანი პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებებში და ყოველგვარი ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის წლიურ განაცხადებში:

— შეიმუშაოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან და შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დავალებანი უნივერსალური და სპეციალიზებული კონტეინერებით და დაპაკეტებული სახით ტვირთის გადაზიდვის (ტონობით) საერთო მოცულობის შესახებ ტრანსპორტის სახეობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხედვით განაწილებით და წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახმომარაგებას რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური სახელმწიფო გეგმების პროექტებში შესატანად;

— სრულყოს მუშაობა პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის დაგეგმვისა და განვითარებისათვის;

— უზრუნველყოს, მოყოლებული 1983 წლიდან, ყოველწლიურად საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის 200—200 ახალი კონტეინერის მიწოდება.

6. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ უზრუნველყოს მეთერთმეტე ხუთწლედში საქვეუწყებო საწარმოების მიერ კონტეინერებით 16 ათასი ტონა და პაკეტებით 604 ათასი ტონა ტვირთის გადაზიდვა.

7. საქართველოს საზღვაო სანაოსნომ დაამთავროს 1983—1984 წლებში საკონტეინერო უბნის მშენებლობა ფოთის ნავსადგურში.

8. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანპორტის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ აღნიშნული სამინისტროსა და კომიტეტის აპარატებში შეიქმნას კონტეინერებითა და პაკეტებით ტვირთის გადაზიდვის ხელმძღვანელობის სტრუქტურული ქვედანაყოფები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახმომარაგების ცენტრალური აპარატებისათვის დაწესებული საშტატო რიცხოვნობისა და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს წლიურ გეგმებში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის კონტეინერსაზიდების, მისაბმელების, ნახევარმისაბმელებისა და საწევრების მიწოდება სამინისტროს განაცხადების თანახმად, აგრეთვე ყოველწლიურად, მოყოლებული 1983 წლიდან, საკონტეინერო მოედნების მშენებლობისათვის ლიმიტების გამოყოფა 250—250 ათასი მანეთის მოცულობით.

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გაითვალისწინონ 1986—1990 წლების გეგმის პროექტში 3.500 ათასი მანეთის გამოყოფა სატვირთო სადგურების, საკონტეინერო პუნქტებისა და სატრანპორტო-საექსპედიციო მომსახურების კანტორების განსავითარებლად.

11. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყონ თავიანთ საქვეუწყებო საწარმოებში ჯეროვანი წესრიგის დამყარება კონტეინერებით ტვირთის მიღების საქმეში და მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 დეკემბრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ტვირთგამგზავნმა და ტვირთმიმღებმა სამინისტროებმა და უწყებებმა;

— უზრუნველყონ კონტეინერების ტვირთამწეობისა და ტევადობის მაქსიმალური გამოყენება მათი დატვირთვის პროგრესული ტექნიკური ნორმების დანერგვის ხარჯზე;

— სრულყონ კონტეინერებით ტვირთის გადაზიდვის დაგეგმვა, ამასთან არ დაუშვან დაუსაბუთებელი განაცხადების წარდგენა;

— მოყოლებული 1983 წლის იანვრიდან, მაქსიმალურად განახორციელონ წვრილმანი ტვირთების გადაზიდვა პაკეტებით;

— ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან შეთანხმებით ორი თვის ვადაში განსაზღვრონ ნუსხა საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციებისა, რომლებმაც უნდა მოაწყონ 1,5—2-ცვლიანი მუშაობა ცენტრალიზებული წესით შემოსული ტვირთებისა და კონტეინერების მისაღებად.

13. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებსა და სატრანსპორტო ქვედანაყოფებში კონტეინერების გამოყენებისადმი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 14 სექტემბერი, № 662

61 პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ხარისხის ამაღლებით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

„პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ხარისხის ამაღლებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 435 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქსახსოფლტექნიკამ, რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებმა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებით, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებით სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქსახსოფლტექნიკამ ფართოდ გაშალონ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმის — კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის; შეიმუშაონ საგარეჯოსა და თელავის რაიონების მაგალითისამებრ ყველა იმ მუშაკისათვის ნატურალური ანაზღაურების მიცემის ოდენობა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანასა და აღებაში, აგრეთვე ღონისძიებანი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების უგანრიგო ფორმის მიხედვით აბაშისა და ცხაკაიას რაიონების მუშაობის გამოცდილების დანერგვისათვის; დანერგონ მმართველობის საამქრო სტრუქტურა 40-50 მეურნეობაში და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 დეკემბრამდე.

3. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 435 დადგენილებით:

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება მიეცათ 5 წლამდე ვადით დაუწესონ კოლექტიური იჯარით მომუშავე ბრიგადებისა და რგოლების მუშებს მიღებული პროდუქციისათვის დანამატების ოდენობა და სტაბილური ფასდებანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის დონის შესაბამისად 150 პროცენტამდე გადიდებული ხელფასის საგეგმო-სატარიფო ფონდის მიხედვით;

— ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს:

დაუწესონ ბრიგადებისა და რგოლების მუშებს, რომელთა შრომა ნაზღაურდება აკორდულ-პრემიული სისტემის მიხედვით, მემცენარეობის პროდუქციისათვის სტაბილური ფასდებანი იმ წესის შესაბამისად, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1970 წლის 2 აპრილის № 227 დადგენილების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია მეცხოველეობაში დასაქმებული მუშებისათვის;

გააერთიანონ შრომის ანაზღაურების მოქმედი დებულებებით გათვალისწინებული სახსრები, მათ შორის პროდუქციისა და მუშაობის მაღალი ხარის-

ხისათვის დამატებითი ანაზღაურება, აგრეთვე პრემიები, რათა აუნაზღაურონ მუშებს შრომა პროდუქციისათვის პროგრესულად მზარდი ფასდებების მიხედვით;

— მეურნეობის რენტაბელობის ამაღლებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით შემოღებულია აღნიშნულ მუშაკთა პრემირება:

დაბალრენტაბელური და ზარალიანი საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნუსხაში შეტანილი მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფისა და დაფინანსების შეღავათიანი პირობებიდან საერთო პირობებზე გადასვლისათვის — სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

წინა 5 წელიწადში მიღწეულ დონესთან შედარებით მეურნეობის საერთო რენტაბელობის ამაღლების ყოველი პროცენტისათვის — 0,25 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით წელიწადში.

მუშაკისათვის მიცემული აღნიშნული პრემიების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში. ეს პრემიები მიეცემათ დაწესებული ზღვრული ოდენობის გადამეტებით. მეურნეობის რენტაბელობის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება შესასყიდი ფასების და მათთვის დაწესებული დანამატების გადიდებით მიღებული თანხები;

— შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებითა და კადრების დენადობის შემცირებით საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შრომითი კოლექტივების დაინტერესების გასაძლიერებლად ამ მეურნეობათა დირექტორებს ნება დაერთოთ პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით მისცენ დაწესებულ ნორმატივთან ან ხელფასის საგეგმო ფონდთან შედარებით მიღებული ეკონომიის ხარჯზე სატარიფო განაკვეთებისა და სარგოების დანამატებით:

მუშებს პროფესიათა შეთავსებისა და ნაკლები რაოდენობის მუშაკთა ძალებით სამუშაოთა დაწესებული მოცულობის შესრულებისათვის — განაკვეთის (სარგოს) 70 პროცენტამდე;

ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მაღალი კვალიფიკაციისათვის, თანამდებობათა შეთავსებისა და ნაკლები რაოდენობის მუშაკთა ძალებით სამუშაოთა დაწესებული მოცულობის შესრულებისათვის — თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს დანამატი მაღალი კვალიფიკაციისათვის უწესდებათ მეურნეობის ხელფასის ფონდის ერთ პროცენტამდე ფარგლებში;

— გათვალისწინებულია გაფართოვდეს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთა შრომის ნატურალური ანაზღაურების პრაქტიკა;

— ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს მოქმედი წესის დამატებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასოდ მისცენ მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანით დასაქმებული ბრიგადებისა და რგოლების მუშებს მარცვლეული ბრიგადის (რგოლის) მიხედვით ზეგეგმითი მთლიანი მოსავლის 15 პროცენტამდე ოდენობით;

მისცენ ხელფასის ანგარიშში მეურნეობის მუშაკებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც ჩაბმული არიან მოსავლის აღებაში და აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, მარცვლეული შესრულებული ნორმა-ცვლისათვის 1,5 კილოგრამამდე ოდენობით.

აღნიშნული მიზნებისათვის მარცვლეულის ხარჯვა არ უნდა აღემატებოდეს დაგეგმილი მთლიანი მოსავლის 5 პროცენტს და ზეგეგმითის 15 პროცენტს;

მისცენ ხელფასის ანგარიშში მეურნეობის მუშაკებს, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, კენკრის, ყურძნის, ბაღჩეულისა და საკვები კულტურების მოვლა-მოყვანასა და მოსავლის აღებაში, პროდუქცია დაგეგმილი მთლიანი მოსავლის 15 პროცენტამდე ოდენობით და, მეურნეობის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ, ამ პროდუქციის ზეგეგმითი მთლიანი მოსავლის არა უმეტეს 30 პროცენტისა.

რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს გამოიყენონ კოლმეურნეებისათვის მატერიალური სტიმულირების ღონისძიებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 21 სექტემბერი, № 664

62 აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რაიონული ორგანოს სახელწოდების შეცვლის შესახებ

იმ მიზნით, რომ შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 433 დადგენილება „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების მართვის გაუმჯობესების შესახებ“ და გადაწყვეტილებანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ივნისის პლენუმისა, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის შედეგები და სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესახებ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებს ამიერიდან ეწოდოთ რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებანი.

2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ.თბილისი, 1982 წ. 28 სექტემბერი, № 683

63 რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით შემდგომი განმტკიცების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ[1])

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელ კადრებსა და სპეციალისტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ძირითადად ხელმძღვანელობენ გამოცდილი, კომპეტენტური და კვალიფიციური კადრები. მათი დიდი ნაწილი ეფექტიანად იყენებს მიწას, ტექნიკას, მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას.

ამასთანავე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდია ამოქმედებული მდიდარი შინაგანი რეზერვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ მოწონებული სასურსათო პროგრამის ამოცანების კარდინალურად გადაწყვეტისათვის, ხელმძღვანელები და სპეციალისტები ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან პასუხისმგებლობას მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი ზრდის საქმეში.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო უშვებს სერიოზულ შეცდომებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა

7. დანართები არ იბეჭდება.

173 60

მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. ნაცვლად იმისა, რომ განუვითარონ მათ ორგანიზატორული ჩვევები, განუმტკიცონ კომუნისტური მსოფლმხედველობა, იზრუნონ მათი ავტორიტეტის ამაღლებისათვის, იჩენენ წვრილმან მეურვეობას, რის შედეგადაც კნინდება სპეციალისტთა და ტექნოლოგთა როგორც წარმოების ორგანიზატორთა, როლი, იბღალება მათი უფლებები უშუალოდ მათი კომპეტენციისათვის განკუთვნილი საკითხების გადაწყვეტაში.

ჯერ კიდევ ხშირია კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების შეცვლის შემთხვევები. ასე, მაგალითად, 1980 წლიდან დღემდე შეიცვალა კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეების 60 პროცენტი და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების 56 პროცენტი, რაც ძირითადად გამოწვეულია ხელმძღვანელ თანამდებობებზე ისეთი ადამიანების დაწინაურებით, რომელთა საქმიანი და მორალური თვისებები შესწავლილი არ არის და მათთვის რეკომენდაცია არ გაუწევიათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებს.

სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადებისა და გადამზადების მოქმედი სისტემა ჯერ კიდევ არ შეესაბამება წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკმარისად არ იყენებენ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის გაგზავნის უფლებას.

„კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით შემდგომი განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 438 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა:

— გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა იმისათვის, რათა განამტკიცონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მაღალკვალიფიციური, იდეურად მომზადებული ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, რომელთაც შესწევთ უნარი უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის პრაქტიკული განხორციელება სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების უცილობლივ შესასრულებლად;

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის საქმიანობა მოახმარონ მიწათმოქმედების ძირითადი საშუალებების, მდიდარი შინაგანი რეზერვებისა და ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, დამზადებასა და გადამუშავებაში მაღალი ეფექტიანობისა და

ქ. მარქსის სახ. სპ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენტაბელობის უზრუნველსაყოფად ორგანიზატორული მუშაობის ფორმების სრულყოფას;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პრესტიჟის ამაღლებას, წარმოების მართვაში მათი როლის გაძლიერებას და უფლებების გაფართოებას, აღკვეთონ მუშაკთა დაუსაბუთებელი გადაადგილების შემთხვევები, მიაღწიონ იმას, რომ კადრებისადმი ნდობა და პატივისცემა სწორად იყოს შეხამებული მათთვის მინდობილი საქმისათვის მაღალ პასუხისმგებლობასთან;

— *მხარი დაუჭიროონ და ყოველმხრივ განავითაროონ სოფლის მეურნეობის* ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ინიციატივა, ჩაუნერგონ მათ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, გაძლიერონ მათი პერსონალური პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, საგეგმო, სამეურნეო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის, გადაჭრით აღკვეთონ უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტები.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის საწარმოო რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს:

— მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების რეზერვის მომზადებისა და გამოყენებისათვის, აღმოფხვრან ფორმალიზმი ამ საქმეში; დააწინაურონ წარმოების პასუხსაგებ უბნებზე ნიჭიერი და უნარიანი ორგანიზატორები, უზრუნველყონ გამოცდილი და ახალგაზრდა კადრების სწორი შეხამება, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალთა დაწინაურებას;

— წაახალისონ მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა გადასვლა ეკონომიკურად სუსტ და ზარალიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, ხელი შეუწყონ აღნიშნულ მეურნეობებში მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

— სრულყონ მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მუშაობის სტილი და მეთოდები, დაეხმარონ მათ სრულყოფილად დაეუფლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვისა და შრომითი კოლექტივების აღზრდის თანამედროვე მეცნიერებას;

— აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ატესტაციის როლი და მნიშვნელობა, მკაცრად დაიცვან ატესტაციის დადგენილი წესი და არ დაუშვან არავითარი შეღავათები გამოვლენილი ცოდნის შეფასებაში.

3. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებით შემდგომი განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 438 დადგენილებით:

— მოწონებულია იმ სპეციალისტთა ინიციატივა, რომელთაც სურვილი გამოთქვეს სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოებიდან და მომსახურების ორგანიზაციებიდან გადავიდნენ პრაქტიკულ სამუშაოზე უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

— დაწესდა, რომ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეურნეობათა ხელმძღვანელებად და სპეციალისტებად და წარმოების საშუალო რგოლის ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებად გადასულ პირებს მიეცემათ ერთდროული დახმარება 3 თვის სარგოს ოდენობით, ხოლო იმათ, რომელთაც ოჯახში ჰყავთ ხუთი და მეტი წევრი, — 5 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით „სხვა ადგილზე სამუშაოდ გადასვლისას გარანტიებისა და კომპენსაციების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 677 დადგენილების შესაბამისად მიცემული ერთდროული დახმარების გადამეტებით; გარდა ამისა, მათ შეუნარჩუნდებათ 3 წლის განმავლობაში, ხოლო დაბალრენტაბელურ და ზარალიან მეურნეობებში სამუშაოდ გადასვლისას — 5 წლის განმავლობაში საშუალო თვიური ხელფასი, რომელსაც ისინი იღებდნენ წინანდელ სამუშაო ადგილზე, თუ იმ მეურნეობებში, სადაც ისინი გაგზავნეს, მათი საშუალო ხელფასი უფრო ნაკლები აღმოჩნდება;

— კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კადრების დამკვიდრების და მათი მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით გათვალისწინებულია:

დაუწესდეთ მათ თანამდებობრივი სარგოები, № 1—3 დანართების თანახმად;

ახალი თანამდებობრივი სარგოები შემოღებულ იქნეს საქართველოს სს რესპუბლიკაში 1985 წლის 1 იანვრიდან;

— სოფლის მეურნეობის იმ ახალგაზრდა სპეციალისტებზე, რომლებიც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ჩადიან მუდმივ სამუშაოზე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, გავრცელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 22 მაისის № 466 დადგენილების მე-11 პუნქტის მოქმედება იმ ნაწილში, რომ პირველი სამი წლის მუშაობის მანძილზე ისინი უზრუნველყოფილ იქნენ უფასო ბინებით, გათბობითა და განათებით;

— ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს საკუთარი საბინაო ფონდის უკმარობისას დაიქირაონ მოქალაქეთაგან საცხოვრებელი სადგომები ახალგაზრდა სპეციალისტთათვის მისაცემად, ამასთან დაუმატონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების მიერ დაწესებულ ბინის ქირის განაკვეთებს, მაგრამ არა უმეტეს 10 მანეთისა თვეში ერთ მომუშავეზე;

— ნებადართულია სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა მოსამზადებელ განყოფილებებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეკომენდაციებით მიღებულ იქნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულები — მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების წევრები ერთი წლის მუშაობის სტაჟის გარეშე; რეკომენდებულია ფართოდ იქნეს შემოღებული პრაქტიკაში სოფლის ახალგაზრდობის სასწავლებლად გაგზავნა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და მათთვის სტიპენდიის მიცემა მეურნეობათა სახსრებიდან;

— უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულებზე, რომლებიც იგზავნებიან სამუშაოდ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, გავრცელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 1 სექტემბრის № 820 დადგენილების 32-ე პუნქტით დაწესებული სამეურნეო მოწყობისათვის ერთდროული დახმარების გაცემის წესი და პირობები (6 თვემდე თანამდებობრივი სარგოს ოდენობით).

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ, რომ მეურნეობების, განყოფილებების, ბრიგადებისა და სხვა საწარმოო ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს პირველ რიგში მიეყიდოთ სახლების ასაწყობი კონსტრუქციები, საშენი მასალები და მოწყობილობა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

5. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა და საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტმა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების გადამზადების სრულყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისთვისაც:

— გადასინჯონ 1982/83 სასწავლო წლის დაწყებისათვის სასოფლო-სამეურნეო კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში სასწავლო გეგმები და პროგრამები, გაითვალისწინონ მათში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების შესწავლა, სწავლების დროს მსმენელთა სტაჟირების გაფართოება რესპუბლიკის საუკეთესო მეურნეობებში;

— გააძლიერონ მომთხვნელობა ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ განყოფილებებზე და სოფლის მეურნეობის მართვის სკოლებში სასწავლებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანდიდატურების შერჩევისადმი; გაგზავნონ სასწავლებლად ნამდვილად ტალანტიანი პექტიული მუშაკები, რომელთაც დადებითად გამოიჩინეს თავი საქმეში და შესწევთ უნარი შემდგომ სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უფრო დიდ უბნებს;

— სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა წინადადებანი კადრების მომზადებისა და განაწილების საკითხებზე დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, ხოლო სოფლის მეურნეობის მართვის სკოლის შემადგენლობის საკითხებზე — საქართველოს კპ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მაღალკვალიფიციური კადრებით შემდგომი განმტკიცებისა და სტუდენტთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა საბინაო პირობების, აგრეთვე სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მიჰყიდონ მსუბუქი ავტომობილები და მოტოციკლები პირველ რიგში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, გამოყონ ამ მიზნით ეტლიანი მოტოციკლების საბაზრო ფონდის 50 პროცენტი და მსუბუქი ავტომობილების საბაზრო ფონდის 30 პროცენტი.

საქსახსოფლტექნიკამ უზრუნველყოს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მსუბუქი ავტომობილების, აგრეთვე მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კუთვნილი და მათ მიერ სამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენებული ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესება.

8. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატურად გააშუქონ კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საქმეში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მუშაობის გამოცდილება.

9. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიურად 1 თებერვლისათვის მოახსენონ საქართველოს კპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ... გენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღალკვალიფიციური კადრებითა და სპეციალისტებით შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ თავიანთ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე დასახული ამოცანების უცილობლივ შესრულებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 28 სექტემბერი, № 686.

64 საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის შემდგომი მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ამჟამად საქართველოში არის 61 ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი და 337 საკურორტო ადგილი, რომელთაც სხვადასხვა სამინისტრო და უწყება განაგებს.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა განახორციელეს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. მაგრამ ის ფაქტი, რომ კურორტები და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებები სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციას ეკუთვნის, არ იძლევა კურორტების ერთიანი ხელმძღვანელობის საშუალებას, წარმოშობს უწყებრივ ბარიერებს, უარყოფითად მოქმედებს როგორც ბუნებრივი სამკურნალო რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ისევე საკურორტო ინდუსტრიის განვითარებაზე, მედიცინის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების დონეზე ავადმყოფთა დიაგნოსტიკის ხარისხზე, მკურნალობასა და რეაბილიტაციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მდგომარეობა ჯერ კიდევ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, არადამაკმაყოფილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ცუდად არის ორგანიზებული დამსვენებელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების უმეტესობა კეთილმოუწყობელია, წყალმომარაგების არსებული სისტემა გაანგარიშებულია მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად და საკურორტო სეზონის დადგომიდან ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებელთა მინიმალურ მოთხოვნილებებს. რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის მეტ წილ კურორტებს არ გააჩნიათ მუდმივი მომსახურე პერსონალი, გათბობის სისტემები, მისასვლელი გზები, რის გამოც შეუძლებელია მათი სრულწლიური ფუნქციონირება.

სერიოზული ნაკლოვანებებია ჯანმრთელობის კერების კონტინგენტისა და არაორგანიზებულ დამსვენებელთა სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის საქმეში.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბევრ კურორტს არა აქვს საჭირო დიაგნოსტიკური ლაბორატორიები, რენტგენ-ფუნქციური კაბინეტები და სპეციალიზებული სამეცნიერო დახმარების სხვა სახეობანი, რაც შესამჩნევად ამცირებს მკურნალობის ეფექტიანობას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების შემდგომი გეგმაზომიერი და მიზანდასახული განვითარების, კურორტებზე ჩამოსული კონტინგენტის მკურნალობის, დასვენების, მომსახურების პირობების ძირეული გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის ბუნებრივი სამკურნალო რესურსების სწორი ექსპლუატაციის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უშუალო დაქვემდებარებაში და დაერქვას მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველო.

2. რესპუბლიკის ადგილობრივი კურორტების განვითარებისადმი ერთიანი კვალიფიციური ხელმძღვანელობის განსახორციელებლად შეიქმნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იმ მოადგილის თავმჯდომარეობით, რომელიც განაგებს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, იგივე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსის თანამდებობა საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის უფლებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შეყვანილ იქნენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი — საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნჯანმრთელობის“ თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკური ჰიდროგეოლოგიური სამმართველოს „საქმინწყალგეოკაპტაჟის“ მმართველი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

5. შეიქმნას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დაგეგმვისა და განვითარების განყოფილება და დაეკისროს მას რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე ახალი ბალნეოლოგიურ-საკურორტო რესურსების გამოვლენის, არსებული მინერალური და თერმული წყლების ექსპლუატაციის და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციის მოვალეობანი.

ჩაითვალოს აღნიშნული განყოფილების გამგე საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებელ მდივნად.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებანი იმ უწყებათა და დაწესებულებათა საქმიანობის საკითხებზე, რომლებიც განაგებენ კურორტებს ან ექსპლუატაციას უწევენ ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს რესპუბლიკის ადგილობრივ კურორტებზე, დადგენილი წესით მათი შეთანხმების შემდეგ გაფორმდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის — საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებებით.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ო. ე. ჩერქეზიამ ერთი თვის ვადაში განიხილოს და წარმოადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების ორგანიზაციასთან დაკავშირებული წინადადებანი.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს დებულებანი საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან-არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს შესახებ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების შესახებ და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. ჩაითვალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისა და აღნიშნულ კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მართვის ერთიან ხელმძღვანელ ორგანოდ და დაეკისროს მას ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია სამკურნალო საშუალებებისა და საკურორტო ფაქტორების გამოყენების და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციის ნაწილში.

ამიერიდან დაშვებული არ იქნეს რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შექმნა და გახსნა, აგრეთვე მინერალური და თერმული წყლების წყაროების გამოსავლენად და საექსპლუატაციოდ სარეკონსტრუქციო და საძიებო სამუშაოები საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოსმენილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ექვსი თვის შემდეგ.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის გამგებლობაში გადასაცემ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა დაზუსტებული სია.

11. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დაგეგმვისა და განვითარებისა
განყოფილების ორგანიზაციასთან დაკავშირებული წინადადებანი.

7. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს დებულებანი საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შესახებ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან-არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს შესახებ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების შესახებ და ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს ისინი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. ჩაითვალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისა და აღნიშნულ კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების მართვის ერთიან ხელმძღვანელ ორგანოდ და დაეკისროს მას ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია სამკურნალო საშუალებებისა და საკურორტო ფაქტორების გამოყენების და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციის ნაწილში.

ამიერიდან დაშვებული არ იქნეს რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შექმნა და გახსნა, აგრეთვე მინერალური და თერმული წყლების წყაროების გამოსავლენად და საექსპლუატაციოდ სარეკონსტრუქციო და საძიებო სამუშაოები საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოსთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოსმენილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ექვსი თვის შემდეგ.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების მართვის გამგებლობაში გადასაცემ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა დაზუსტებული სია.

11. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავენ რესპუბლიკაში სანატორიულ-საკურორტო საქმის შემდგომ გაუმჯობესებას და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ამოცანების რეალიზაციას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 15 ოქტომბერი, № 700.

65 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. გ. ყაუხჩიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის სიმონ გიორგის ძე ყაუხჩიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. გ. ყაუხჩიშვილის სახელი ქალაქ ქუთაისის № 35 საშუალო სკოლას.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ს. გ. ყაუხჩიშვილი;

— მიაკუთვნოს ს. გ. ყაუხჩიშვილის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს:

— დადგას ბიუსტი განსვენებულის საფლავზე;

— გამოსცეს 1985-1990 წლებში ს. გ. ყაუხჩიშვილის შრომები და მისი შრომების ბიბლიოგრაფიული ცნობარი.

4. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის ს. გ. ყაუხჩიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 26 ოქტომბერი, № 731.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

66 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეცხოველეობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა დამკვიდრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

„კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მეცხოველეობის დარგში დასაქმებულ მუშაკთა დამკვიდრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 436 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქსახსოფლტექნიკამ, რაიონების სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებებმა შეიმუშაონ და განახორციელონ თითოეული მეურნეობის მიხედვით კონკრეტული ორგანიზაციულ-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშაკთა დამკვიდრებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით მათი მატერიალური დაინტერესების გაძლიერებას.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1982 წლის 24 მაისის № 436 დადგენილებით:

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მეცხოველეობაში დასაქმებულ მუშებზე გავრცელდა:

მოცემულ მეურნეობაში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის ხელფასის დანამატების მიცემის წესი და პირობები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 311 დადგენილებით არის გათვალისწინებული (შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებითურთ) შესაბამისი ზონის ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის;

დამატებითი შვებულებები, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის № 96 დადგენილებითა და სკკპ ცენტრალური კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1971 წლის 14 აპრილის № 222 დადგენილებით არის გათვალისწინებული შესაბამისი ზონის ტრაქტორისტ-მემანქანეებისათვის.

მუშაობის სტაჟში, რომელიც მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის დამატებითი შვებულების უფლებას იძლევა, ჩაითვლება მუშაობის პერიოდი, მოყოლებული 1981 წლის 1 იანვრიდან.

მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის ხელფასის ზემოაღნიშნული დანამატები და დამატებითი შვებულებები შემოღებულ იქნება 1985 წლის 1 იანვრიდან;

— რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს გამოიყენონ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი მეცხოველეობაში კადრების დასამკვიდრებლად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

ქ. თბილისი, 1982 წ. 21 სექტემბერი, № 668

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

67 **„არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების დანართში რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქების ნუსხის დამატების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს „არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 2 ოქტომბრის № 729 დადგენილების № 1 დანართში რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ნუსხას ქალაქები ტყიბული და ტყვარჩელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 1 სექტემბერი, № 617

68 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 სექტემბრის № 717 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს დებულების ნაწილობრივ შესაცვლელად ამოირიცხოს მე-5 პუნქტიდან „ფ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 7 სექტემბერი, № 635

69 საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში მისი როლის ამაღლების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფის თაობაზე სკკპ XXV და XXVI ყრილობების და საქართველოს კომპარტიის XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული განხორციელების შედეგად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII (1975 წ.) და VIII (1977 წ.) პლენუმებზე გამოთქმული მითითებებისა და კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად ამაღლდა საგეგმო-ეკონომიკური და ანალიზური მუშაობის დონე, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების დასაბუთებულობის, შეწონასწორებულობისა და კომპლექსურობის ხარისხი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ შემუშავებული სახელმწიფო გეგმების პროექტები, შეესაბამებიან რა პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიას, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებებს, მიზნად ისახავენ იმას, რომ წარმატებით გადაწყდეს რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი სტრატეგიული ამოცანა — დაძლეულ იქნეს საქართველოს ჩამორჩენა რესპუბლიკის საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო-საკავშირო დონისაგან ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საერთო-საკავშირო მეურნეობაში რესპუბლიკის წვლილის გადიდების მიზნით საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებისა და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

გაფართოვდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დასაგეგმი განმაზოგადებელი მაჩვენებლების წრე, რამდენადმე გაუმჯობესდა საბალანსო მუშაობა, ამაღლდა დაგეგმვის კომპლექსურობის დონე.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ფართოდ აისახება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაჩვენებლები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიზნობრივ კომპლექსურ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრამებს და უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა გადაჭრის, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და კვლავაღჭურვის, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა და მართვის ავტომატიზებულ სისტემათა გამოყენების, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების და ხელის შრომის შემცირების პროგრამებს.

წარსული წლებისაგან განსხვავებით შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით დავალებანი გეგმებში განისაზღვრება მთლიანად საქართველოს სსრ ტერიტორიის გათვალისწინებით. მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტის შემადგენლობაში პირველადაა შეტანილი დანაყოფები „აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი“ და „მეორეული ნედლეულის დამზადება და გადამუშავება“.

პრაქტიკაში ინერგება შინარესპუბლიკური ტერიტორიული დაგეგმვა. მუშავდება ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმები.

ხორციელდება კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის სრულყოფის, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების, სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის, სახალხო მეურნეობაში საგეგმო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებანი.

მიმდინარეობს უფრო მიზანდასახული და თანამიმდევრული მუშაობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და წარმოებათა გეგმების ფორმირებისათვის.

შესამჩნევად გაძლიერდა ყურადღება პერსპექტიული დაგეგმვისა და გრძელვადიანი პროგნოზირების საკითხებისადმი. წინასაგეგმო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და ანალიზური მასალების მომზადებაში ფართოდ მონაწილეობენ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი კოორდინაციას უწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 12 ივლისის № 695 დადგენილებით გათვალისწინებულ სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებებს.

იხვეწება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის სტრუქტურა, მიმდინარეობს მისი განმტკიცება გამოცდილ სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით. ხორციელდება მუშაობა საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად.

ამასთანავე, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გაზრდილი მოთხოვნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, საჭირო ხდება საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება, უმნიშვნელოვანეს პერსპექტიულ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე წინადადებათა უფრო ღრმად და კომპლექსურად შემუშავება, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა და ეკონომიკის მართვა, შემოქმედებითი ძიების გაძლიერება, რაც მიზნად ისახავს საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების, მეცნიერების მიღწევების უფრო ეფექტიანად გამოყენებას, დაგეგმვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების რაციონალურ შეხამებას, ხუთწლიანი და წლიური გეგმების შესრულების მიმდინარეობისადმი ქმედითი კონტროლის განხორციელებას. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი წარსულში ვერ უზრუნველყოფდა სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების პერსპექტიული განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხთა ღრმად და კომპლექსურად დამუშავებას, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ საქართველოს სსრ ჩამორჩებოდა საშუალო-საკავშირო დონეს ეკონომიკური და სოციალური ზრდის მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, ხოლო ზოგიერთი დარგი (ელექტროენერგეტიკა, ქვანახშირმომპოვებელი მრეწველობა და ა. შ.) — რესპუბლიკის დაჩქარებული ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

საჭიროა კოლეგიის მუშაობის უფრო ზუსტი ორგანიზაციის უზრუნველყოფა მის სხდომებზე ყველაზე აქტუალურ საკითხთა სავალდებულო განხილვის გათვალისწინებით, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სპეციალისტთა კავშირურთიერთობის განმტკიცება წარმოებასთან და რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანიზაციებთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის შესაბამის ქვედანაყოფებთან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატი გადატვირთულია სხვადასხვა საცნობარო და საინფორმაციო მასალების მომზადებით, მიმდინარე საკითხებზე წინადადებათა წარდგენით, რაც საშუალებას არ აძლევს სპეციალისტებს შეასრულონ თავიანთი ძირითადი მოვალეობანი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კარდინალური პრობლემების გადასაჭრელად.

ადგილობრივი საგეგმო ორგანოების საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება ტერიტორიული დაგეგმვის სრულყოფისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დასახულ ამოცანებს. ადგილობრივი საგეგმო კომისიები მცირერიცხოვანია და ყველგან არ არის დაკომპლექტებული კვალიფიციური მუშაკებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის შტატები და სტრუქტურა სრულად არ შეესაბამება რესპუბლიკის დაგეგმვის უმაღლეს ორგანოში საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის ხარისხის ამაღლების თანამედროვე მოთხოვნებს. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს არ გააჩნია თავისი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური გამოკვლევების სამსახური, პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების შემმუშავებელი სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფი, აგრეთვე თავისი ბეჭდვითი ორგანო, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის ყველა დარგობრივ განყოფილებაში რიდი არიან .ახალი ტექნიკის სპეციალისტები. გაჭიანურდა კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის შენობის მშენებლობა, რაც ბევრად ზღუდავს საჭირო საგეგმო გაანგარიშებათა ოპერატიულად შესრულების შესაძლებლობებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის ბევრი ქვედანაყოფის მუშაობაში შემოქმედებითს აქტიურობასა და ოპერატიულობას შესამჩნევად ამცირებს საჭირო სამუშაო ფართობის უქონლობა და თანამშრომელთა შრომის პირობებში არსებული სხვა ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემაში მისი როლის ამაღლებისა და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მეცნიერული დასაბუთებულობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილებით და დაგეგმვის სრულყოფის დარგში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ამოცანების თანამიმდევრული რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

— რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვისა და გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად თავის პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში და საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ თბილისში გამართული ზეიმის დროს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და ამოცანებით;

— უზრუნველყოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების მეცნიერული დასაბუთებულობის დონის შემდგომი ამაღლება, საბალანსო და კრებსით-ეკონომიკური მუშაობის განუწყვეტლივ გაუმჯობესება, განახორციელოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ღრმა ანალიზი, შეიმუშაოს და ასახოს სახელმწიფო გეგმებში ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის პროპორციულ და დინამიკურ განვითარებას, არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, დაგეგმვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეხამებას, სახალხო მეურნეობაში „ვიწრო“ ადგილების აღმოფხვრას და მათი წარმოქმნის თავიდან აცილებას;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებას, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით გაითვალისწინოს გეგმათა პროექტებში მეცნიერულ გამოკვლევათა და უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა შედეგების უფრო სრულად გამოყენება, გააუმჯობესოს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავების და წარმოებაში დანერგვის დაგეგმვა, ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა მიზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საგეგმო მაჩვენებლების შემუშავებისადმი, გაითვალისწინოს ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტების შესაბამის განაყოფებში დავალებანი და რესურსები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა შედეგების გამოყენების და უმნიშვნელოვანესი მეცნიერული და მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის სამუშაოთა გეგმებისა და პროგრამების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, გააუმჯობესოს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი;

— სახელმწიფო გეგმის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების განაყოფს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი შეიმუშავებს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საქართველოს სსრ სახმშენის მონაწილეობით — შესაბამისად — მეცნიერების განვითარების და მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ნაწილში;

განახორციელოს სისტემატური და მიზანდასახული მუშაობა მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით მისი მეცნიერებატევადი და პერსპექტიული ქვედარგების დაჩქარებული განვითარების უზრუნველსაყოფად;

— ღრმად და ყოველმხრივ შეიმუშაოს ღონისძიებანი აგროსამრეწველო კომპლექსის დინამიკური და შეწონასწორებული განვითარების, საქართველოს სსრ სასურსათო პროგრამის უცილობლივ რეალიზაციის უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სახალხო მოხმარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების უპირატეს განვითარებას, მისი ასორტიმენტის განუწყვეტლივ გაფართოებასა და გაუმჯობესებას და ხარისხის ამაღლებას;

— გააძლიეროს საქმიანობა რესპუბლიკის შრომითი პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესების დარგში. ამ მიზნით გაითვალისწინოს პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესამუშავებელ პროექტებში: შრომითს რესურსებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების არსებულ რესურსებთან სრული შეწონასწორების უზრუნველყოფა; შრომითი რესურსების დასაქმების დონის ამაღლება და რესპუბლიკის ეკონომიკის სფეროებსა და დარგებში მათი განაწილების შემდგომი რაციონალიზაცია; მუშაკთა პროფესიული მომზადების გაუმჯობესება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფა შესაბამისი პროფესიების მუშახელით; შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება სახალხო მეურნეობის დარგებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე და ამის შედეგად განთავისუფლებული მუშახელის რაციონალური გადანაწილება სახალხო მეურნეობის დარგთა შორის; ქალთა ჩაბმა და შენარჩუნება საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სკოლამდელი დაწესებულებების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, ყმაწვილ-ახალგაზრდობის დაწესებულებების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ქსელის გაფართოების გზით;

— უზრუნველყოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დროულად შემუშავება და დაგზავნა სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ავტონომიური რესპუბლიკებისათვის, ავტონომიური ოლქისათვის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონებისათვის;

შექმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრთა ხელმძღვანელობით მუდმივმოქმედი (საჭიროების კვალობაზე — დროებითი) სექციები (კომისიები) მასალების განსახილველად და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მისი დარგებისა და რეგიონების საკვანძო პრობლემებზე წინადადებათა, ავრეთვე მიზნობრივი პროგრამების მოსამზადებლად. მიიზიდოს ამ სექციებში (კომისიებში) სამუშაოდ თვალსაჩინო მეცნიერები, სპეციალისტები და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები;

გააქტიუროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიების საქმიანობა ცალკეული სახალხო-სამეურნეო პრობლემების შესამუშავებლად და განსახილველად;

— გააძლიეროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრისა და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების შესაბამისი სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია და აამაღლოს დაგეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მვისათვის მათი ნამუშევრების ეფექტიანობა. უფრო სრულად გამოიყენოს გამოთვლითი ცენტრის შესაძლებლობანი საგეგმო გაანგარიშებათა ოპტიმიზაციისათვის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენებით. გააძლიეროს მუშაობა მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის შემუშავების დასამთავრებლად;

უზრუნველყოს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა მუშაობის კოორდინაცია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებულ სისტემასთან მართვის დარგობრივი და საუწყებო ავტომატიზებული სისტემების ურთიერთმოქმედებისათვის, აგრეთვე ამ სამუშაოსადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა;

სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან იმ მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაციის შესახებ, რომლებიც ხორციელდება საქართველოს სსრ ეკონომიკის დარგში რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, ამასთან მხედველობაში იქონიოს სახალხო მეურნეობის რეგიონალური მართვის პრობლემათა პირველ რიგში შემუშავება;

— უზრუნველყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის სისტემატური ანალიზი; მოამზადოს მიღებული მონაცემების საფუძველზე წინადადებანი მათი შესრულების საქმეში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და სამეურნეო მექანიზმის, წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების შემდგომი სრულყოფისათვის;

— მიიღოს ზომები ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმატივების სისტემის, როგორც პროდუქციის, საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი და ფინანსური რესურსების წარმოებისა და განაწილების ნატურალური და ღირებულებითი ბალანსების შემუშავების, სახალხო მეურნეობაში მათი რაც შეიძლება რაციონალური და ეკონომიური გამოყენების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი საფუძვლის, სრულყოფისათვის.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ნორმირების მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავების და ნორმებისა და ნორმატივების სისტემის მეთოდიკური უზრუნველყოფის მთავარი ორგანიზაცია. დაეკისროს აღნიშნულ ინსტიტუტს ტიპობრივი სადარგთაშორისო მეთოდიკური დოკუმენტაციის მომზადება ნორმირების საკითხებზე და ნორმებისა და ნორმატივების შერჩევითი ექსპერტიზის ჩატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისწავლოს შესაძლებელია თუ არა 1984-1985 წლებში შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფი პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების შესამუშავებლად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საკითხზე;

— ყოველდღიურად გააღრმაოს მუშაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისადმი, მათი სტაბილურობისადმი, ძირითადი საწარმოო ფონდების, კაპიტალური დაბანდებების, ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისადმი კონტროლის განსახორციელებლად;

— უზრუნველყოს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების მიმდინარეობის ღრმა და სისტემატური ანალიზი, დროულად მოამზადოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ვამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებაში შინადარგობრივი და სადარგთაშორისო დისპროპორციების თავიდან აცილებას და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას;

— განახორციელოს საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების მონაწილეობით სახელმწიფო გეგმების უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულების მიმდინარეობისა და შედეგების კომპლექსური შემოწმებანი;

— უზრუნველყოს სისტემატური კონტროლი დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ცალკეულ დარგებში და მშენებლობებზე კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობისადმი;

— გააძლიეროს მეთოდური ხელმძღვანელობა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საგეგმო-ეკონომიკურ სამმართველოთა და განყოფილებათა მუშაობისადმი გეგმების პროექტების შემუშავებასთან, სახალხო-სამეურნეო პროგრამების მომზადებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

2. გაძლიერდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მაკოორდინირებელი როლი საერთო-რესპუბლიკური დაგეგმვის და რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო საქმიანობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის დარგში, უზრუნველყოფილ იქნეს მისი უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედება დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახმშენთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან გეგმის პროექტების შედგენისას და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ ამ პროექტების ყოველმხრივი განხილვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარმოდგენის წინ.

ამ მიზნით:

— გააქტიურდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანოს — კომიტეტის საქმიანობა. მისი სხდომები გაიმართოს წელიწადში ორჯერ მაინც. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და კომიტეტის წევრები. საჭიროდ ჩაითვალოს შეყვანილ იქნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრთა შემადგენლობაში საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი, საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სახმშენის, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისისა და ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წამყვან განყოფილებათა უფროსები, აგრეთვე 33 თვალსაჩინო სპეციალისტები და სამეურნეო ხელმძღვანელები. განისაზღვროს კომიტეტის შემადგენლობა 50 კაცის რაოდენობით;

— დაწესდეს, რომ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ჰყავს კოლეგია 17 კაცის შემადგენლობით, რომლის სხდომები ტარდება რეგულარულად თვეში ერთხელ მაინც.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის სხდომებში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მინისტრები და საქართველოს სსრ უწყებათა ხელმძღვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, იმ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ განსახილველ საკითხებთან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ, აგრეთვე დაუგზავნის ამ გადაწყვეტილებებს შესაბამის საკითხებზე საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში მოამზადოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილი წესით დასამტკიცებლად წინადადება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, როგორც დაგეგმვის დარგში რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების, მიზნობრივი და კომპლექსური პროგრამების მოსამზადებლად და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უფლებამოსილია მიიღოს ყოველგვარი საჭირო ზომები გეგმებისა და პროგრამების ხარისხიანად და დროულად შედგენის, აგრეთვე მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

მიენიჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უფლება:

განსაზღვროს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების შემუშავებისა და წარდგენის წესი და ვადები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ მთავრობაში ამ გეგმების წარდგენის დაწესებული ვადების გათვალისწინებით. ძირითადი მაჩვენებლებისა და ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით საკონტროლო ციფრები შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაუგზავნოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

განახორციელოს რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისისა და ქალაქ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მუშაობის კოორდინაცია გეგმების პროექტების შემუშავებისათვის პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების კომპლექსური სისტემის შესაქმნელად და დასანერგად, მატერიალური, შრომითი, ფინანსური ნორმებისა და ნორმატივების, კაპიტალურ დაბანდებათა ნორმებისა და ნორმატივების და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმებისა და ნორმატივების ჩათვლით (გარდა იმ ნორმებისა და ნორმატივებისა, რომელთაც შეიმუშავებენ და აწესებენ საქართველოს სსრ სახმშენი და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო), აგრეთვე განახორციელოს მეთოდური ხელმძღვანელობა ამ მუშაობისადმი. განსაზღვროს აღნიშნული ნორმებისა და ნორმატივების მომზადების, განხილვისა და დამტკიცების წესი;

შეიტანოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ცვლილებანი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების მაჩვენებელთა სისტემაში, ამასთან გაითვალისწინოს მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების ძირითადი ამოცანები და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის დაჩქარების აუცილებლობა და იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის № 695 დადგენილების მე-10 პუნქტით;

დაამტკიცოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის გამოსაშვებად საწარმოო სიმძლავრეთა ბალანსები, განიხილოს, განაზოგადოს და შეიმუშაოს საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით ზემოაღნიშნული ბალანსების შეფასებანი და მისცეს სათანადო მითითებანი და რეკომენდაციები მათი უფრო რაციონალურად და სრულად გამოყენების შესახებ;

გაითვალისწინოს გეგმების პროექტებში საწარმოო სიმძლავრეებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საჭირო რეზერვები;

მისცეს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მითითებანი სახელმწიფო საგეგმო დისციპლინის დარღვევათა აღმოფხვრის, აგრეთვე არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენების შესახებ. საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტების გამოვლენისას წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. დაგეგმვისადმი კომპლექსური მიდგომის უზრუნველყოფის, რესპუბლიკის ეკონომიკის უფრო ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის, გეგმების პროექტების მეცნიერული დასაბუთებულობისა და შეწონასწორებულობის ამაღლების, დაგეგმვაში უწყებრიობის გამოვლენათა შესაძლებლობის აღმოფხვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში მუშაობა მოეწყოს იმ ურთიერთდაკავშირებული დარგებისა და საქმიანობის სფეროების განყოფილებათა ჯგუფების მიხედვით, რომელთაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის შესაბამისი მოადგილეები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებებსა და სხვა ქვედანაყოფებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ შესაბამისი დარგებისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით კომპლექსური, ყველა მაჩვენებლით შეწონასწორებული და დაკავშირებული გეგმის შემუშავებისა და დროულად წარდგენისათვის, აგრეთვე მისი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის.

განყოფილებათა მუშაობის ორგანიზაციას კომპლექსური დაგეგმვისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა და მატერიალური რესურსების განაწილების საკითხების ჩათვლით, განსაზღვრავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგია.

5. ტერიტორიული დაგეგმვისათვის მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და დარგობრივ და პროგრამულ დაგეგმვასთან მისი უფრო მჭიდროდ დაკავშირების მიზნით განმტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ტერიტორიული დაგეგმვისა და საწარმოო ძალთა განლაგების განყოფილება, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ გაძლიერდეს მუშაობა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კომპლექსური განვითარების დაგეგმვისათვის, ტერიტორიული სახელმწიფო ორგანოების ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობისათვის, საწარმოო ძალთა განლაგების სრულყოფისათვის, განვითარდეს და ფართოდ გავრცელდეს ცალკეული ავტონომიური წარმონაქმნებისა და რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შედგენის გამოცდილება.

განხორციელდეს ღონისძიებანი ადგილობრივი საგეგმო ორგანოების მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მათ უზრუნველყონ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მთელი მეურნეობის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური ტერიტორიული პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტების შემუშავება მაღალ ხარისხობრივ დონეზე. ამავე დროს გეგმების შესამუშავებელ პროექტებში გათვალისწინებულ იქნეს ტერიტორიული და დარგობრივი განვითარების ინტერესების სწორი შეხამება, შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების მეურნეობათა დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების, სამრეწველო წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგთა **განვითარების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდებისა და ნედლეულის, მასალების, სათბობის ადგილობრივი წყაროებისა და წარმოების ნარჩენების გამოყენების გაფართოების საფუძველზე.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ჩაითვალოს წინადადებათა მომზადება შესაბამისი რეგიონის შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმების უზრუნველყოფის გათვალისწინებით ადგილობრივი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, მომსახურების სფეროს დარგების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მეურნეობის შემდგომი განვითარების, ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სოფლების კეთილმოწყობის და გარემოს დაცვის გაუმჯობესების შესახებ.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებისა და აღმასკომების საგეგმო კომისიების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხი, ამასთან მხედველობაში იქონიონ მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება გეგმების პროექტების დროულად და ხარისხიანად შემუშავებისათვის, საგეგმო დავალებათა შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებისათვის და განამტკიცონ ისინი კვალიფიციური კადრებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაგეგმვის ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით გააუმჯობესოს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების საქმიანობის კოორდინაცია გეგმების პროექტების მოსამზადებლად, აგრეთვე ფართოდ ჩააბას ისინი სახალხო-სამეურნეო პრობლემების შემუშავებაში.

7. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფა, წარმოუდგინოს საჭიროების შემთხვევაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მისი ცვლილების შესახებ, მუშაობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანებიდან გამომდინარე და გეგმების პროექტების შედგენისადმი კომპლექსური მიდგომის გაფართოების გათვალისწინებით, იმ ვარაუდით, რომ მიაღწიოს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების დაგეგმვისას ეკონომიკური მუშაობის დონის მნიშვნელოვან ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა უფრო სრულად გამოყენებას, საწარმოო ძალთა რაციონალურ განლაგებას.

აამაღლოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილებების უფროსთა როლი და პერსონალური პასუხისმგებლობა დასაგეგმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგების განვითარებისა და განლაგების ყველაზე ეფექტიან მიმართულებათა განსაზღვრისათვის, მათი საწარმოო შესაძლებლობების გამოყენებისა და გეგმების პროექტებში დიდი ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ სადირექტივო ორგანოებში განსახილველად შესატან გადაწყვეტილებათა პროექტების გამო დასკვნების უფრო გულდასმით და დასაბუთებულად მომზადებისათვის.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ძირითად განყოფილებათა უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიას:

გასწიოს მუშაობა სახალხო-სამეურნეო პროპორციების სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკის შეწონასწორებულობის უზრუნველყოფის, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შესრულებისადმი კონტროლის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის მუშაობის ორგანიზაციის, სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე ყურადღების შემდგომი გამახვილების მიმართულებით. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის მუშაობის ორგანიზაციისას უზრუნველყოს კოლეგიურობისა და ერთმმართველობის შეხამება მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მინდობილ უბნებზე არსებული მდგომარეობისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაწესებასთან. დაწესდეს, რომ კოლეგიის წევრებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობისა და ეფექტიანობისათვის;

გააძლიეროს მომთხოვნელობა და გააუმჯობესოს კადრების შერჩევა, განაწილება და აღზრდა, უზრუნველყოს აპარატის რაოდენობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესება, ამასთან მიიჩნიოს ეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითების შესაბამისად დაგეგმვის დონის ამაღლებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს პირობად;

განამტკიცოს საშემსრულებლო დისციპლინა, გააძლიეროს მომთხოვნელობა აპარატის მუშაკებისადმი და მათი პირადი პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების პროექტების ხარისხიანად და დროულად შემუშავებისათვის, რეზერვების გამოვლენისა და გამოყენებისათვის, სახალხო მეურნეობის დარგებსა და რესპუბლიკის რეგიონებში არსებული მდგომარეობის ღრმად შესწავლისათვის, წარმოებასთან, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობის გაფართოებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობა-მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციისა და საქმიანი თვისებების ასამაღლებლად ფართოდ გამოიყენოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიაში, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ უმაღლეს ეკონომიკურ კურსებზე და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში სასწავლებლად მათი გაგზავნის შესაძლებლობანი. უფრო მეტად მიიზიდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში სამუშაოდ ეკონომიკური მომზადების გამოცდილი სპეციალისტები, თვალსაჩინო სამეურნეო ხელმძღვანელები და მეცნიერები.

9. იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ძირითადი ყურადღება დაეთმოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების, ეკონომიკის განვითარების მიზნობრივი პროგრამებისა და უმნიშვნელოვანესი პერსპექტიული პრობლემების უფრო ღრმად დამუშავების უზრუნველყოფის ამოცანებს, განთავისუფლდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მისთვის შეუფერებელი ფუნქციებისა და დაგეგმვასთან დაუკავშირებელი ოპერატიული საკითხების, აგრეთვე იმ საკითხების განხილვისაგან, რომლებიც საქართველოს სსრ სახმომარაგების, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების კომპეტენციას განეკუთვნება.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დავალებებს აძლევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

10. გაუმართლებლად ჩაითვალოს პრაქტიკა, როცა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შემოაქვთ საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა მრავალი პროექტი ცალკეული დარგების, წარმოებების განვითარების საკითხებზე და დამტკიცებულ პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებთან დაუკავშირებელ ტერიტორიულ პრობლემებზე.

დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს შეუძლიათ შეიტანონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული წინადადებანი ზემოაღნიშნულ საკითხებზე, როგორც წესი, მხოლოდ გეგმების პროექტებთან ერთად.

ცალკეული დარგების განვითარების პერსპექტივების უფრო დეტალური დამუშავების აუცილებლობის კვალობაზე შემდგომში ეს განხორციელდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზნობრივი პროგრამების მომზადების სახით, რომელთა შესრულების ეტაპებ-დარული ვადები უკავშირდება ცინანსურ და მატერიალურ შესაძლებლობებს და განისაზღვრება სახელმწიფო გეგმითჰ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად საჭირო შემთხვევებში ღონისძიებანი დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე პრობლემების გადასაჭრელად და წარმოუდგინოს ისინი პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებთან ერთად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დებულების მიღებიდან ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დებულების პროექტი, აგრეთვე ამ დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანების გათვალისწინებით.

12. საშენ მასალათა მრეწველობაში, ხის დამმუშავებელ მრეწველობაში, რესპუბლიკურ მრეწველობაში, ვაჭრობაში, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის სამუშაოთა დაგეგმვისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამის განყოფილებებში, ახალი ტექნიკის მთავარ სპეციალისტთა თანამდებობანი 5 საშტატო ერთეულის რაოდენობით.

ანალიზური მუშაობის გაღრმავების, გეგმების შესამუშავებელი პროექტების მეცნიერული დასაბუთებულობის ამაღლების და საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკურ-სტატისტიკური ინფორმაციით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატის უზრუნველყოფის მიზნით შესწავლილ იქნეს, შესაძლებელია თუ არა 1983-1984 წლებში შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლით ცენტრში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ცენტრი.

13. ახალ საწარმოთა განლაგების, მოქმედი სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების ,მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) შესახებ რეკომენდაციების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის მოწესრიგების, აგრეთვე ამ საქმეში კუთხურობისა და ვიწროუწყებრივი მიდგომის გამოვლინებათა თავიდან აცილების მიზნით შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან თავმჯდომარის პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოთა განლაგების მუდმივმოქმედი საუწყებათაშორისო კომისია. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები წინადადებებს ახალ სამრეწველო საწარმოთა განლაგების, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და გაფართოების შესახებ წარმოდგენენ განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მხოლოდ ზემოაღნიშნული კომისიის დასკვნით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საუწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობის შესახებ და მისი დებულების პროექტი.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური აპარატის შენახვის ხარჯთაღრიცხვაში. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჭირო ასიგნებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვის ხარჯების საერთო ლიმიტის ფარგლებში.

15. აღმასკომებში საგეგმო მუშაობის დონის ამაღლების მიზნით და „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის № 292 დადგენილების შესაბამისად შემოღებულ იქნეს 1982 წლის 1 იანვრიდან სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შტატებში აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის — საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა წამოაყენონ აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეებად — საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებად სპეციალისტები, რომელთაც აქვთ სათანადო ცოდნა და სახალხო მეურნეობაში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, გამოირჩევიან თავიანთი საქმიანი, პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებებით.

რესპუბლიკაში რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ფუნქციონირების გათვალისწინებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის დებულების შემუშავებისას განსაზღვროს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის — საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი.

16. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ გაითვალისწინოს 1982 წელს საქალაქო ავტონომიური ტელეფონის სადგურის საჭირო რაოდენობის ტელეფონების გამოყოფა და დადგმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში.

17. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მიიღოს საჭირო ზომები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის შენობის და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობის მინაშენის მშენებლობაზე არსებული მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოს მათი საექსპლუატაციოდ გადაცემა 1982 წელს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 15 სექტემბერი, № 641

70 საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილება „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა:

—უზრუნველყონ საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის, აგრეთვე სხვა მოქალაქეებისათვის საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მრავალბინიანის ჩათვლით) მშენებლობის გაფართოება, საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) თითოეული მენაშენის საკუთრების უფლებით.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა განხორციელდეს, როგორც წესი, ტიპობრივი პროექტების მიხედვით, ქარხანაში დამზადებული პროგრესული კონსტრუქციებისა და ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებით.

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში (იმ დასახლებული პუნქტების გარდა, სადაც ეს მშენებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლულია) განახორციელონ სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა და თვით მენაშენეებმა, ხოლო სოფლად — სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა და თვით მენაშენეებმა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად;

— განსაზღვრონ 1983 წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედისათვის საიჯარო წესით განსახორციელებელი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოცულობანი წლების მიხედვით დაყოფით და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი სახელმწიფო საბინაო მშენებლობის გეგმების პროექტების შემუშავებისათვის დაწესებულ ვადებში;

— გაუწიონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს დახმარება ამ მეურნეობათა მუშაკებისათვის საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დადგენილი წესით ტყესაკაფი ფონდისა და საშენი მასალების გამოყოფის გზით.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა:

— გამოყოფილი სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ანგარიშში უზრუნველყოს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება, საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ახალი ტიპობრივი პროექტების შემუშავება და მოქმედი ტიპობრივი პროექტების სრულყოფა სხვადასხვა ტიპის სახლებზე (ბინებზე) მენაშენეთა მოთხოვნილების გათვალისწინებით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ხელი შეუწყონ მენაშენეთა უზრუნველყოფას საჭირო ტიპობრივი პროექტებით.

აღნიშნული სახლების ინდივიდუალური პროექტების შემუშავება ნებადართულია სსრ კავშირის სახმშენის მიერ დადგენილი წესით;

— გაითვალისწინოს საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციათა გეგმებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება მენაშენეებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მასალების ხარჯვის ნორმები;

— ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება სახელმწიფო მიმღები კომისიების მიერ მშენებლობადამთავრებული საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ:

ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინდივიდუალურ მენაშენეთათვის საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური პროექტების შედგენის დავალების, აგრეთვე საპროექტო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ზემოაღნიშნული საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების პროექტების დამტკიცების წესი.

4. დაწესდეს, რომ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში (საქართველოს მეურნეო დაბების გარდა) ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საბიუჯეტო სახსრებიდან.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გაითვალისწინონ აღნიშნული პროექტების შემუშავებისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უზრუნველყოფისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;

— საქართველოს სსრ სახმომარაგებასთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საჭირო საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობების წარმოების და საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით მოსახლეობისათვის მიყიდვის გადიდება;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საკონტროლო ციფრების საფუძველზე შეიმუშაოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო მეურნეობაში საიჯარო წესით განსახორციელებელი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დასაწესებელი კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შესახებ;

— საქართველოს სსრ სახმშენთან და საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოსთან ერთად ორი თვის ვადაში განიხილოს იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც გათვალისწინებული არაა ბუნებრივი გაზის გამოყენება, ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში სამზარეულო ელექტროქურებისა და მააკუმულირებელი ელექტროწყალსაცხელებლების გამოყენების საკითხი და წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებთან ერთად 1982 წლის 1 ნოემბრამდე შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახბანკთან, სსრ კავშირის მშენბანკთან შესათანხმებლად და შემდგომ დასამტკიცებლად ინდივიდუალურ მენაშენესა და საპროექტო ორგანიზაციას შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასადები ტიპობრივი ხელშეკრულება საპროექტო სამუშაოთა განხორციელების შესახებ და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციასა და მენაშენეს შორის დასადები ტიპობრივი ხელშეკრულება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ.

7. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად შეიმუშაოს და 1982 წლის 1 ნოემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შესათანხმებლად და შემდგომ დასამტკიცებლად მშენებლობის ადგილობრივი პირობების შესაბამისად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ზღვრული ზომები და მშენებლობის ზღვრული ღირებულება.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაცხადის მიხედვით გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში საჭირო სახსრები იმ ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კრედიტის წილის დასაფარავად, რომლებიც ახორციელებენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ სახმშენთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში მოამზადოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარსადგენად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის მაღალმთიან სოფლებში და ახალასათვისებელ ტერიტორიებზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განმხორციელებელ ინდივიდუალურ მენაშენეთათვის კრედიტის გადიდებული თანხით შეღავათების გავრცელების შესახებ.

10. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს სოფლად საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კრედიტი ამ სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

11. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად 1982 წლის ბოლომდე განიხილოს საკითხი იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში საიჯარო წესით განსახორციელებელი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარ სამმართველოს, და წარმოუდგინოს შესაბამისი წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოამზადონ საკავშირო სადირექტივო ორგანოებში წარსადგენად წინადადებანი ქალაქ თბილისში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განახლების მიზანშეწონილობის შესახებ.

13. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და შესაბამისი ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ განიხილონ საკითხი ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განახლების მიზანშეწონილობის შესახებ და წარმოუდგინონ წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

14. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1981 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილებით:

ა) დააწესა, რომ:

— ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები გამოიყოფა და მათი ფართობი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით:

— სოფლის მეურნეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებისათვის, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და საჯარო წესით მშენებლობისას შემკვეთის ფუნქციებს ახორციელებენ, როგორც წესი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები, ხოლო მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, — შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები;

— სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დადგენილი წესით მიჰყიდიან თავიანთ მუშაკებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საშენ და მოსაპირკეთებელ მასალებს, ინსტრუმენტებს, სადურგლო ნაკეთობებსა და კავეულს, სტანდარტული ხის სახლების ცალკეულ დეტალებსა და კომპლექტებს საცალო ფასებში, თუ ისინი დაწესებულია, და საბითუმო ფასებში, თუ საცალო ფასები არაა დაწესებული.

ინდივიდუალურ მენაშენეებს, რომლებიც ახორციელებენ საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას უშუალოდ ხე-ტყის მრეწვე-

ლობის მეურნეობებსა და სატყეო დაბებში, საშენი ხე-ტყის მასალებზე მოქმედ-
დებათ მოქმედ საბითუმო ფასებში.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების შედგენისას მასალების ღირებულება განისაზღვრება საცალო ფასებში, ხოლო მათი არასებობისას — საბითუმო ფასებში;

— ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონებისათვის გარეკვარტალური, გარესადაბო და შინასადაბო საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების, მათ შორის კანალიზაციის დეცენტრალიზებულ სისტემათა საწმენდი ნაგებობების, ელექტროქსელისა და კავშირგაბმულობის ქსელის დაპროექტება და მშენებლობა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სასოფლო დასახლებულ პუნქტებში (საკოლმეურნეო დაბების გარდა) ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე. ურჩია კოლმეურნეობებს განახორციელონ ეს სამუშაოები საკუთარი სახსრების ხარჯზე.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მიერთება საინჟინრო კომუნიკაციებთან, მათ შორის ელექტროქსელებთან და კავშირგაბმულობის ქსელებთან, კანალიზაციის დეცენტრალიზებული სისტემების გამომყვანების მოწყობა, აგრეთვე წყალმომარაგების, გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების დეცენტრალიზებული სისტემების, თხევადი გაზის დანადგარების მოწყობა ხორციელდება მენაშენეთა სახსრების ხარჯზე.

უფლება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს გადაწყვიტონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსთან შეთანხმებით იმ დასახლებული პუნქტების ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში სამზარეულო ელექტროქურებისა და მააკუმულირებელი ელექტროწყალსაცხელებლების გამოყენების საკითხები, სადაც გათვალისწინებული არ არის ბუნებრივი გაზის გამოყენება;

— საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, მათი გაზიფიკაციის და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიერთების სამუშაოები ხორციელდება მენაშენეთა სახსრების ხარჯზე და ბანკის გრძელვადიანი კრედიტის გამოყენებით. აღნიშნული მიზნებისათვის სესხები გათვალისწინებულ იქნება სსრ კავშირის სახბანკის საკრედიტო გეგმებში (მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით განაწილებით) და სსრ კავშირის მშენბანკის საკრედიტო გეგმებში (სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით განაწილებით).

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტი მენაშენეებს მიეცემათ 3.000 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, მოყოლებული სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მეხუთე წლიდან.

ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის კრედიტი მიეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ოქტომბრის № 973 დადგენილების № 1 დანართით (თან ერთვის) გათვალისწინებული შეღავათიანი პირობებით.

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისა და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მათი მიერთებისათვის კრედიტი მიეცემათ 500 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 5 წლის განმავლობაში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის ხარჯებისათვის კრედიტი მიეცემათ ერთ სახლზე (ბინაზე) 200 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 3 წლის განმავლობაში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. სახლების კაპიტალური რემონტის, მათი გაზიფიკაციის და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიერთების სამუშაოებს ახორციელებენ მსესხებლები 6 თვის განმავლობაში სესხის მიღების დღიდან.

მენაშენეებს, როლებიც ახორციელებენ ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს სოფლად, კრედიტს აძლევს სსრ კავშირის სახბანკი, ხოლო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში — სსრ კავშირის მშენბანკი.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის სესხები მიეცემათ: სამეურნეოანგარიშიან საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე მენაშენეებს — შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების მეშვეობით მათი ვალდებულების მიხედვით; საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე მენაშენეებს — ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შუამდგომლობით მენაშენეთა პირადი ვალდებულების მიხედვით.

სესხის მთლიანად დაფარვამდე მსესხებელს უფლება არა აქვს გაყიდოს ან გადასცეს აშენებული (შერემონტებული) საცხოვრებელი სახლი ბანკის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, მეურნეობის ნებართვის გარეშე.

კრედიტით სარგებლობისათვის მსესხებლები ბანკს უხდიან პროცენტებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი მიზნობრივი დანიშნულებით არ გამოიყენებს სესხს, ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს დადგენილი წესით სესხის ვადამდე დაბრუნება და დაურიცხოს 12 პროცენტამდე წლიური მთელი გაცემული თანხიდან;

ბ) განუსაზღვრა საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს განახორციელონ საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ამ მეურნეობათა დაბებში, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს — თავიანთ მუშაკთათვის შემდეგი პირობებით:

მშენებლობის ღირებულება გამოიანგარიშება სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისათვის დადგენილი წესის, ფასებისა და ნორმების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაკებს საკუთარი სახსრები თავდაპირველად შეაქვთ საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

უფლება მისცა საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეუმცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა 10 პროცენტამდე ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებს, ახალდაქორწინებულებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, ხოლო მეურნეობებში, რომლებიც მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდიან, — აგრეთვე ამ მეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე გადასულ მასობრივ პროფესიათა მუშაკებს;

გ) დაავალა სსრ კავშირის სახბანკს მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს სოფლად საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტი ამ სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

აღნიშნული კრედიტი დაიფარება 20 წლის განმავლობაში სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ამასთან კრედიტის თანხის ნახევარს საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები დაფარავენ ამ მეურნეობათა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ხარჯზე.

ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაფარონ, როგორც გამონაკლისი, კრედიტის ეს წილი ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გადასახდელთა ვადების დადგომის შესაბამისად. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაევალა გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

კრედიტის დანარჩენ ნაწილს დაფარავენ მეურნეობათა მუშაკები ყოველთვიურად თანაბარწილად;

დ) ურჩია კოლმეურნეობებს განახორციელონ საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ამ მიზნით გაცემული კრედიტის დაფარვა ამ დადგენილების მე-14 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით.

ზარალიან და დაბალრენტაბელურ კოლმეურნეობებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული კრედიტის დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები გამოეყოფათ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დაწესებული პირობებით;

ე) დააწესა, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც მიდიან კოლმეურნეობიდან და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციიდან ან ტოვებენ სამუშაოს საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა მეურნეობასა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოში არასაპატიო მიზეზით შესახლების დღიდან 20 წლის გასვლამდე, მოვალენი არიან:

ან ჩააბარონ მეურნეობას სსრ კავშირის სახბანკის კრედიტის ხარჯზე აშენებული საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლები. ამასთან მეურნეობა აუნაზღაურებს ყოფილ მუშაკებს სახლის მშენებლობისათვის მათს თავდაპირველ შენატანს და სესხის დავალიანების დაფარვისათვის გადახდილ თანხებს და დაუქვითავს ნაგებობათა ცვეთის ღირებულებას საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობით;

ან აუნაზღაურონ მეურნეობას საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისა და მეურნეობის სახსრების ხარჯზე გაწეული დანახარჯები;

ვ) ნება დართო სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაფარონ, როგორც გამონაკლისი, ამ დადგენილების № 1 დანართში აღნიშნული კრედიტის წილი ზარალიანი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გადასახდელთა ვადების დადგომის შესაბამისად. დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

მენაშენეებს საკუთარი სახსრები თავდაპირველად შეაქვთ საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

უფლება მისცა აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეუმცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა 10 პროცენტამდე ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებს, ახალდაქორწინებულებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, აგრეთვე განსაკუთრებით რთული, მძიმე და მავნე სამუშაოებით დასაქმებულ მუშაკებს.

გაავრცელა ამ დადგენილების მე-14 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოქმედება სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებზე, რომლებმაც აიშენეს საცხოვრებელი სახლები და დატოვეს სამუშაო ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებში არასაპატიო მიზეზით შესახლების დღიდან 15 წლის გასვლამდე;

ზ) დაავალა:

— სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს — სსრ კავშირის სახმომარაგებასთან და „ცენტროსოიუზთან“ შეთანხმებით გაითვალისწინოს სტანდარტული ხის სახლების კომპლექტების და ადგილობრივი საშენი მასალების კედლებიანი სახლების დეტალების, აგრეთვე სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობის, სადურგლო ნაკეთობებისა და კავეულის და სხვა საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების საბაზრო ფონდის გამოყოფა საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უზრუნველსაყოფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს — გაუწიონ ინდივიდუალურ მენაშენეებს დახმარება საშენი მასალებისა და დეტალების შეძენასა და გადაზიდვაში.

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს მენაშენეები აანაზღაურებენ მოქმედი ტარიფების მიხედვით;

თ) დააწესა, რომ თვითნებური მშენებლობის, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განხორციელებისას სამშენებლო ნორმებისა და წესების დაუცველობის და სხვა დარღვევათა დაშვების შემთხვევაში დამნაშავე პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) შეიტანა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში შემდეგი ცვლილებანი:

„საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის № 320 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ., 1958 წ., № 5, მუხ. 47) მე-3 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 თებერვლის № 1996 განკარგულებით“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილების მე-9 პუნქტით“;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით დამტკიცებული სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1981 წ., № 12, მუხ. 71) მე-16 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „1.500 მანეთამდე ოდენობით“ შეიცვალა სიტყვებით: „3.000 მანეთამდე ოდენობით“, ხოლო სიტყვები: „მესამე წლიდან“ შეიცვალა სიტყვებით: „მეხუთე წლიდან“.

15. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 20 სექტემბერი, № 644.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 20 სექტემბრის № 644 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. მე-5 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-7 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 246 დადგენილებისა „საწარმოების, მშენებლობათა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 16 აგვისტოს № 1022 დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1949 წლის 1 აპრილის „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ მიღებული დადგენილების გამოყენების წესის შესახებ“, 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გარდა.

3. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 თებერვლის № 74 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კომუნალური ბანკის 1948 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“.

4. მე-4 პუნქტის მეშვიდე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ივლისის № 452 დადგენილებისა „მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 18 თებერვლის № 97 დადგენილება „სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 973

1981 წლის 5 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 მარტის № 1029 დადგენილებასთან — „სსრ კავშირის კანონთა წიგნის საკითხები" — დაკავშირებით და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შემდგომი განვითარების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომტეტებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის, აგრეთვე სხვა მოქალაქეებისათვის საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (მრავალბინიანის ჩათვლით) მშენებლობის გაფართოება, საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) თითოეული მენაშენის საკუთრების უფლებით.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა განხორციელდეს, როგორც წესი, ტიპობრივი პროექტების მიხედვით, ქარხანაში დამზადებული პროგრესული კონსტრუქციებისა და ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებით.

2. საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში (იმ დასახლებული პუნქტების გარდა, სადაც ეს მშენებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია) ახორციელებენ სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები და თვით მენაშენეები, ხოლო სოფლად — სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები და თვით მენაშენეები დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უზრუნველყოფისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

4. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების შემუშავება სხვადასხვა ტიპის სახლებზე (ბინებზე) მენაშენეთა მოთხოვნილების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ხელი შეუწყონ მენაშენეთა უზრუნველყოფას საჭირო ტიპობრივი პროექტებით.

აღნიშნული საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური პროექტების შემუშავება ნებადართულია სსრ კავშირის სახმშენის მიერ დადგენილი წესით.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტროა საბჭოებმა:

უზრუნველყონ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავების ხარჯების დაფინანსება, აგრეთვე გაითვალისწინონ საქვეუწყებო საპროექტო ორგანიზაციების სამუშაოთა გეგმებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება მენაშენეებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით;

1982 წელს შეიმუშაონ და დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახბანკთან და სსრ კავშირის მშენბანკთან შეთანხმებით ინდივიდუალურ მენაშენესა და საპროექტო ორგანიზაციას შორის დასადები ტიპობრივი ხელშეკრულება საპროექტო სამუშაოთა განხორციელების შესახებ და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციასა და მენაშენეს შორის დასადები ტიპობრივი ხელშეკრულება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ;

გაითვალისწინონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საჭირო საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების, სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობების წარმოების და საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით მოსახლეობისათვის მიყიდვის გადიდება.

6. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები გამოიყოფა და მათი ფართობი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სოფლის მეურნეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებისათვის, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და საიჯარო წესით მშენებლობისას შემკვეთის ფუნქციებს ახორციელებენ, როგორც წესი, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები, ხოლო მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, — შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ან სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები.

8. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ სსრ კავშირის სახმომარაგებასთან და „ცენტროსოიუზთან“ შეთანხმებით გაითვალისწინონ სტანდარტული ხის სახლების კომპლექტების და ადგილობრივი საშენი მასალების კედლებიანი სახლების დეტალების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე სანიტარიულ-ტექნიკური მოწყობილობის, სადურგლო ნაკეთობებისა და კავეულის და სხვა საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების საბაზრო ფონდის გამოყოფა საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა გაუწიონ ინდივიდუალურ მენაშენეებს დახმარება საშენი მასალებისა და დეტალების შეძენასა და გადაზიდვაში.

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს მენაშენეები აანაზღაურებენ მოქმედი ტარიფების მიხედვით.

9. სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები დადგენილი წესით მიჰყიდიან თავიანთ მუშაკებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საშენ და მოსაპირკეთებელ მასალებს, ინსტრუმენტებს, სადურგლო ნაკეთობებსა და კავეულს, სტანდარტული ხის სახლების ცალკეულ დეტალებსა და კომპლექტებს საცალო ფასებში, თუ ისინი დაწესებულია, და საბითუმო ფასებში, თუ საცალო ფასები არაა დაწესებული.

ინდივიდუალურ მენაშენეებს, რომლებიც ახორციელებენ საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას უშუალოდ ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობებსა და სატყეო დაბებში, საშენი ხე-ტყის მასალები მიეყიდებათ მოქმედ საბითუმო ფასებში.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების შედგენისას მასალების ღირებულება განისაზღვრება საცალო ფასებში, ხოლო მათი არარსებობისას — საბითუმო ფასებში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა გაუწიონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს დახმარება ამ მეურნეობათა მუშაკებისათვის საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დადგენილი წესით ტყესაკაფი ფონდისა და საშენი მასალების გამოყოფის გზით.

10. ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის რაიონებისათვის გარეკვარტალური, გარესადაბო და შინასადაბო საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების, მათ შორის კანალიზაციის დეცენტრალიზებულ სისტემათა საწმენდი ნაგებობების, ელექტროქსელისა და კავშირგაბმულობის ქსელის დაპროექტება და მშენებლობა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სასოფლო დასახლებულ პუნქტებში (საკოლმეურნეო დაბების გარდა) ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს განახორციელონ ეს სამუშაოები საკუთარი სახსრების ხარჯზე.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მიერთება საინჟინრო კომუნიკაციებთან, მათ შორის ელექტროქსელებთან და კავშირგაბმულობის ქსელებთან, გამომყვანების მოწყობა კანალიზაციის დეცენტრალიზებულ სისტემებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, აგრეთვე წყალმომარაგების, გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების, დეცენტრალიზებული სისტემების, თხევადი გაზის დანადგარების მოწყობა ხორციელდება მენაშენეთა სახსრების ხარჯზე.

უფლება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს გადაწყვიტონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსთან შეთანხმებით იმ დასახლებული პუნქტების ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში სამზარეულო ელექტროქურებისა და მააკუმულირებელი ელექტროწყალსაცხელებლების გამოყენების საკითხები, სადაც გათვალისწინებული არ არის ბუნებრივი გაზის გამოყენება.

11. საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, მათი გაზიფიკაციის და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიერთების სამუშაოები ხორციელდება მენაშენეთა სახსრების ხარჯზე და ბანკის გრძელვადიანი კრედიტის გამოყენებით. აღნიშნული მიზნებისათვის სესხები გათვალისწინებულ იქნება სსრ კავშირის სახბანკის საკრედიტო გეგმებში (მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით განაწილებით) და სსრ კავშირის მშენბანკის საკრედიტო გეგმებში (სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით განაწილებით).

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტი მენაშენეებს მიეცემათ 3.000 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 10 წლის განმავლობაში, მოყოლებული სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მეხუთე წლიდან.

ცალკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის კრედიტი მიეცემათ შეღავათიანი პირობებით, № 1 და 2 დანართების თანახმად.

საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისა და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მათი მიერთებისათვის კრედიტი მიეცემათ 500 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 5 წლის განმავლობაში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის ხარჯებისათვის კრედიტი მიეცემათ ერთ სახლზე (ბინაზე) 200 მანეთამდე ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 3 წლის განმავლობაში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ. სახლების კაპიტალური რემონტის, მათი გაზიფიკაციის და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიერთების სამუშაოებს ახორციელებენ მსესხებლები 6 თვის განმავლობაში სესხის მიღების დღიდან.

მენაშენეებს, რომლებიც ახორციელებენ ამ პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს სოფლად, კრედიტს აძლევს სსრ კავშირის სახბანკი, ხოლო ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში — სსრ კავშირის მშენბანკი.

ზემოაღნიშნული მიზნებისათვის სესხები მიეცემათ: სამეურნეოანგარიშიან საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე მენაშენეებს — შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების მეშვეობით მათი ვალდებულების მიხედვით; საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე მენაშენეებს — ამ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შუამდგომლობით მენაშენეთა პირადი ვალდებულების მიხედვით.

სესხის მთლიანად დაფარვამდე მსესხებელს უფლება არა აქვს გაყიდოს ან გადასცეს აშენებული (შერემონტებული) საცხოვრებელი სახლი ბანკის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, მეურნეობის ნებართვის გარეშე.

კრედიტით სარგებლობისათვის მსესხებლები ბანკს უხდიან პროცენტებს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი მიზნობრივი დანიშნულებით არ გამოიყენებს სესხს, ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს დადგენილი წესით სესხის ვადამდე დაბრუნება და დაურიცხოს 12 პროცენტამდე წლიური მთელი გაცემული თანხიდან.

12. საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა განახორციელონ საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ამ მეურნეობათა დაბებში, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა — თავიანთ მუშაკთათვის შემდეგი პირობებით:

ა) მშენებლობის ღირებულება გამოიანგარიშება სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისათვის დადგენილი წესის, ფასებისა და ნორმების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დააწესონ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ზღვრული ღირებულება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახბანკთან შეთანხმებით მშენებლობის ადგილობრივი პირობების შესაბამისად;

ბ) მუშაკებს საკუთარი სახსრები თავდაპირველად შეაქვთ საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

უფლება მიეცეთ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეუმცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა 10 პროცენტამდე ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებს, ახალდაქორწინებულებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, ხოლო მეურნეობებში, რომლებიც მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდიან, — აგრეთვე ამ მეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე გადასულ მასობრივ პროფესიათა მუშაკებს.

13. სსრ კავშირის სახბანკმა მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს სოფლად საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტი ამ სახლების მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

აღნიშნული კრედიტი დაიფარება 20 წლის განმავლობაში სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ამასთან კრედიტის თანხის ნახევარს დაფარავენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები ამ მეურნეობათა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ხარჯზე.

ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაფარონ, როგორც გამონაკლისი, კრედიტის ეს წილი ზარალიანი და დაბალრენტაბელური საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გადასახდელთა ვადების დადგომის შესაბამისად. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სახელმწიფოს ბიუჯეტის პროექტებში ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

კრედიტის დანარჩენ ნაწილს დაფარავენ მეურნეობათა მუშაკები ყოველთვიურად თანაბარწილად.

14. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს განახორციელონ საეზოენაგებობებიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ამ მიზნით გაცემული კრედიტის დაფარვა ამ დადგენილების მე-12-13 პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

ზარალიან და დაბალრენტაბელურ კოლმეურნეობებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ზემოაღნიშნული კრედიტის დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები გამოეყოფათ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დაწესებული პირობებით.

15. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც მიდიან კოლმეურნეობიდან და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციიდან ან ტოვებენ სამუშაოს საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოში არასაპატიო მიზეზით შესახლების დღიდან 20 წლის გასვლამდე, მოვალენი არიან:

ან ჩააბარონ მეურნეობას სსრ კავშირის სახბანკის კრედიტის ხარჯზე აშენებული საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლები. ამასთან მეურნეობა აუნაზღაურებს ყოფილ მუშაკებს სახლის მშენებლობისათვის მათს თავდაპირველ შენატანს და სესხის დავალიანების დაფარვისათვის გადახდილ თანხებს და დაუქვითავს ნაგებობათა ცვეთის ღირებულებას საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობით;

ან აუნაზღაურონ მეურნეობას საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტისა და მეურნეობის სახსრების ხარჯზე გაწეული დანახარჯები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. ნება დაერთოთ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, ყაზახეთის სსრ ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, ყაზახეთის სსრ მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და ყაზახეთის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს დაფარონ, როგორც გამონაკლისი, ამ დადგენილების № 1 დანართის მე-3 პუნქტში აღნიშნული კრედიტის წილი ზარალიანი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გადასახდელთა ვადების დადგომის შესაბამისად. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

მენაშენეებს საკუთარი სახსრები თავდაპირველად შეაქვთ საეზოენაგებობებიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

უფლება მიეცეთ აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეუმცირონ თავდაპირველი შესატანის ოდენობა 10 პროცენტამდე ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებს, ახალდაქორწინებულებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, აგრეთვე განსაკუთრებით რთული, მძიმე და მავნე სამუშაოებით დასაქმებულ მუშაკებს.

გავრცელდეს ამ დადგენილების მე-15 პუნქტის მოქმედება აღნიშნული სამინისტროების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებზე, რომლებმაც აიშენეს საცხოვრებელი სახლები და დატოვეს სამუშაო ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებში არასაპატიო მიზეზით შესახლების დღიდან 15 წლის გასვლამდე.

17. მშენებლობადამთავრებულ საეზოენაგებობებიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

18. თვითნებური მშენებლობის, ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის განხორციელებისას სამშენებლო ნორმებისა და წესების დაუცველობის და სხვა დარღვევათა დაშვების შემთხვევაში დამნაშავე პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

20. შეტანილ იქნეს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში შემდეგი ცვლილებანი:;

ა) „საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 20 მარტის № 320 დადგენილების (სსრკ დადგ. კრებ. 1958 წ., № 5, მუხ. 47) მე-3 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 თებერვლის № 1996 განკარგულებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილების მე-9 პუნქტით“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 23 თებერვლის № 209 დადგენილებით დამტკიცებული სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის შეღავათების დებულების (სსრკ დადგ. კრებ., 1981 წ., № 12, მუხ. 71) მე-16 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „1.500 მანეთამდე ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით: „3.000 მანეთამდე ოდენობით“, ხოლო სიტყვები: „მესამე წლიდან“ შეიცვალოს სიტყვებით: „მეხუთე წლიდან“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ი. არხიპოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ლარინი.**

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982
წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილებით

ნუსხა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიკის საკითხთა საბჭოს 1939 წლის 26 აპრილის № 386 დადგენილება „საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1939 წ., № 28, მუხ. 188).

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 17 სექტემბრის № 1007 დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სესხების ოდენობის გადიდების შესახებ“.

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 29 მაისის № 625 დადგენილება „სსრ კავშირის განთავისუფლებულ რაიონებში ინდივიდუალური საბინაო ფონდის აღდგენის და ქალაქებსა და მუშათა დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1944 წ., № 7, მუხ. 109).

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 24 ივნისის № 1321-540 დადგენილების მე-4 პუნქტის მეორე აბზაცი.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 ივნისის № 2060 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების მუდმივი მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების მიცემის და საკუთარი საც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვრებელი სახლების მშენებლობაში მათთვის დახმარების გაწევის შესახებ“ მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გარდა.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 21 ივლისის № 2553 დადგენილება „სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის, კვების მრეწველობის, გემოვნების მრეწველობის და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების საბჭოთა მეურნეობების მუდმივი მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების მიცემის და საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მათთვის დახმარების გაწევის შესახებ“.

7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 26 აგვისტოს № 3211 დადგენილება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრებ., 1948 წ., № 5, მუხ. 62), მე-3 პუნქტის გარდა.

8. მე-7, მე-8 და მე-12 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 ოქტომბრის № 3905 დადგენილებისა „საწარმოთა, მშენებლობათა და დაწესებულებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის მისაყიდად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“.

9. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 თებერვლის № 1996 განკარგულება.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 20 ნოემბრის № 22155 განკარგულება.

11. მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-9 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 30 იანვრის № 173 დადგენილებისა „რუსეთის სფსრ ქალაქების გაზით მომარაგების შემდგომი განვითარების შესახებ“.

12. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 1781 დადგენილებისა „ქალაქ ბაქოს გაზის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“.

13. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 20 დეკემბრის № 2465 დადგენილება „ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში სესხების ოდენობის შემცირებისა და მოსახლეობის საკუთარი სახსრების ხვედრითი წონის გადიდების შესახებ“.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 15 თებერვლის № 960 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საეზოენაგებობებიანი ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

15. 21-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 17 ივნისის № 1143 დადგენილებისა „1955-1960 წლებში გაზის მრეწველობისა და ქალაქების გაზმომარაგების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

16. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 30 ივლისის № 5686 განკარგულება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის სესხების გაცემის ნაწილში.

17. მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1937 წლის 24 დეკემბრის № 1456 დადგენილებისა „ცენტრალური კომუნალური ბანკის სისტემის 1958 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“.

18. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 1 ივლისის № 744 დადგენილებისა „საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალური მშენებლობის განსახორციელებლად გენერლების, ადმირალებისა და უფროსი ოფიცრებისათვის მისაცემი მიწის ნაკვეთებისა და ფულადი სესხების ოდენობის შესახებ“ (სსრკ მთ. დადგ. კრებ., 1958 წ., № 13, მუხ. 102).

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 746-357 დადგენილების მე-7 პუნქტი.

20. „ჩრდილო-დასავლეთის, ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უხვტყიან რაიონებში ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 418 დადგენილების № 12 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

21. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 სექტემბრის № 786 დადგენილებისა „ძივთისა და ბარასის მოპოვებით დასაქმებულ ხე-ტყის მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შეღავათების შესახებ“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 13 აპრილის № 418 დადგენილების № 12 დანართის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების გავრცელებას.

22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 სექტემბრის № 1818 განკარგულება.

23. მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 იანვრის № 4 დადგენილებისა „ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ დასაშრობ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან მოქალაქეთა გადასახლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1966 წ., № 2, მუხ. 12), ამასთან შენარჩუნებულ იქნეს აღნიშნული ქვეპუნქტის გავრცელების მოქმედება, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 დეკემბრის № 1067-347 დადგენილებით.

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 მარტის № 408 განკარგულება.

25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 სექტემბრის № 2308 განკარგულება საცხოვრებელი სახლისა და საეზოენაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

26. 1-ლი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 აპრილის № 349 დადგენილებისა „ჩრდილოეთის ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

27. მე-7 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 მაისის № 410 დადგენილებისა „მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 11 სექტემბრის № 725 დადგენილებისა „ლიტვის სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაბებში ხუტორებიდან გადასასახლებელ მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საცხოვრებელი სახლისა და საეზოენაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

29. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 აგვისტოს № 630 დადგენილებისა „ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაბებში ხუტორებიდან გადასასახლებელ მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

30. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 აგვისტოს № 1668 განკარგულების „ა“ პუნქტი საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

31. მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 975 დადგენილებისა „ბელორუსიის სსრ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაბებში ხუტორებიდან გადასასახლებელ მოქალაქეთათვის დახმარების გაწევის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 905 განკარგულება.

33. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 მაისის № 1044 განკარგულების „ა“ პუნქტი საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 27 მაისის № 1045 განკარგულების „ა“ პუნქტი საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 3 სექტემბრის № 1820 განკარგულება საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

36. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 28 ოქტომბრის № 2349 განკარგულება.

37. მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 დეკემბრის № 917 დადგენილებისა „ხაბაროვსკის მხარის მეთევზეობის კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

38. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 12 აპრილის № 738 განკარგულების პირველი აბზაცი კრედიტის მიცემის ნაწილში.

39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 2 ივნისის № 1174 განკარგულება კრედიტის მიცემის ნაწილში.

40. მე-12 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 8 მაისის № 300 დადგენილებისა „ივანოვოს ოლქის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 27 აგვისტოს № 771 განკარგულების მე-5 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი.

42. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 10 აპრილის № 861 განკარგულება.

43. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 31 მაისის № 1351 განკარგულების მეორე აბზაცი.

44. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 30 იანვრის № 209 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, აგრეთვე ამ განკარგულების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საცხოვრებელი სახლისა და საეზოენაგებობების მშენებლობისათვის კრედიტის მიცემის ნაწილში.

45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 სექტემბრის № 1937 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 აპრილის № 349 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 სექტემბრის № 1895 განკარგულების მესამე აბზაცით გათვალისწინებული შეღავათების ნაწილში.

46. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 20 დეკემბრის № 1042 დადგენილება „სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 3, მუხ. 17).

47. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 1 თებერვლის № 225 განკარგულება.

48. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 289 დადგენილება „ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 12, მუხ. 74).

49. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 ივნისის № 1133 განკარგულება.

50. 25-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 16 მაისის № 431 დადგენილებისა „ყაზახეთის სსრ ფერადი მეტალურგიის ნედლეულის ბაზის ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფისა და ამ დარგის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილების დანართი № 1

კატეგორიები

მოქალაქეებისა, რომლებსაც ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის კრედიტი მიეცემათ შეღავათიანი პირობებით

	კრედიტის ოდენობა	კრედიტით სარგებლობის ვადა და მისი დაფარვის პირობები
1. კოლმეურნეები, რომლებიც გადადიან ან გადავიდნენ საბინადრო ცხოვრების წესზე, და სამონადირეო-სარეწ და ნადირთსაშენ მეურნეობათა მუშაკები ჩრდილოეთის ხალხთა რიცხვიდან, რომელთაც არა აქვთ საცხოვრებელი სახლები და ცხოვრობენ იარანგებში, ჩუმებში, იურტებსა და სხვა დროებითს სადგომებში[1]):		
ა) იაკუტიის ასსრ, კამჩატკისა და მაგადანის ოლქების, ტაიმირის (დოლგან-ნენთა), იამალ-ნენთა და ნენთა ავტონომიური ოკრუგების რაიონებში	6.000 მანეთამდე	15 წლამდე, დაფარვა დაიწყოს კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან
ბ) უკიდურესი ჩრდილოეთის დანარჩენ რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში, აგრეთვე ირკუტსკის ოლქის ნიჟნეუდინსკის რაიონის ვერხნეგუტარისა და ტოფალარის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა	3.500 მანეთამდე	„
2. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომლებიც გადადიან საბინადრო ცხოვრების წესზე ტუვის ასს რესპუბლიკაში[2])	3.500 მანეთამდე	„
3. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს (დაბებსა და ქალაქებში, საოლქო და სამხარეო ცენტრების გარდა), ყაზახეთის სსრ ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, ყაზახეთის სსრ მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და ყაზახეთის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები[3])	საცხოვრებელი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 80 პროცენტამდე	15 წლამდე, დაფარვა დაიწყოს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მეორე წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს უფლება ეძლევა გამოუყოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე კოლმეურნეობებს, მათ შორის მეთევზეობის კოლმეურნეობებს, სამონადირეო-სარეწ და ნადირთსაშენ მეურნეობებს (დანართის 1-ლ პუნქტში აღნიშნული თანხების გადამეტებით) ერთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სახსრები 3.000 მანეთამდე ოდენობით დანართის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში ჩამოთვლილ რაიონებში და 1.500 მანეთამდე ოდენობით დანართის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში ჩამოთვლილ რაიონებში.

---

1) რუსეთის სფსრ ბიუჯეტის ხარჯზე დაიფარება კოლმეურნეთათვის მიცემული სესხების 75 პროცენტი და მეთევზეობის კოლმეურნეობების წევრთათვის, სამონადირეო-სარეწი და ნადირთსაშენი მეურნეობების მუშაკთათვის მიცემული სესხების 50 პროცენტი.

2) რუსეთის სფსრ ბიუჯეტის ხარჯზე დაიფარება სესხების 75 პროცენტი.

3) საწარმოები და ორგანიზაციები დაფარავენ კრედიტის 50 პროცენტს წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე.

შენიშვნა. სამამულო ომის ინვალიდებსა და სხვა კატეგორიათა მოქალაქეებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებენ უპროცენტო სესხს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, უფლება ეძლევათ აგრეთვე მიიღონ უპროცენტო სესხი ამ სახლების კაპიტალური რემონტისათვის, მათი გაზიფიკაციისა და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიერთებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ლარინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1931 წლის 5 ოქტომბრის № 973 დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატეგორიები

ხუტორებიდან და წვრილი დასახლებული პუნქტებიდან გადასასახლებელი მოქალაქეებისა, რომლებსაც ინდივიდუალური საბინაო შენობებისათვის კრედიტი მიეცემათ შეღავათიანი პირობებით

	კრედიტის ოდენობა ერთ ოჯახზე (მანეთი)	დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე	კრედიტით სარგებლობის ვადა და მისი დაფარვის პირობები
1. მოქალაქეები, რომლებიც გადადიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბებში ბელორუსიის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ დასაშრობ და დაშრობილ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან	3.500-მდე	35 პროცენტი	15 წლამდე, დაფარვა დაიწყოს კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან
მოქალაქეები, რომლებიც გადადიან ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ თევზის მეურნეობების, ხეხილსანერგეების, სასწავლო-საცდელი და ექსპერიმენტული მეურნეობების, სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაშრობ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან	3.500-მდე	35 პროცენტი	„
მოქალაქეები, რომლებიც გადადიან ბელორუსიის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ დაუშრობელ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან:			
საბჭოთა მეურნეობების დაბებში	3.500-მდე	35 პროცენტი	„
კოლმეურნეობების დაბებში	3.500-მდე	—	„

	კრედიტის ოდენობა ერთ ოჯახზე (მანეთი)	დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე	კრედიტით სარგებლობის ვადა და მისი დაფარვის პირობები
მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიან ზონაში და გადადიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბებში წვრილი დასახლებული პუნქტებიდან (მიწების მელიორაციული მდგომარეობის მიუხედავად)	3.500-მდე	35 პროცენტი	„
2. მოქალაქეები, რომლებიც გადადიან საბჭოთა მეურნეობების დაბებში უკრაინის სსრ დასავლეთი ოლქების დასაშრობ და დაუშრობელ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან და წვრილი დასახლებული პუნქტებიდან, აგრეთვე ამ ოლქებში დაუშრობელ მიწებზე განლაგებულ კოლმეურნეობათა დაბებში	3.500-მდე	35 პროცენტი	15 წლამდე, დაფარვა დაიწყ ოსკრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან
3. მოქალაქეები, რომლებიც გადადიან კოლმეურნეობათა დაბებში უკრაინის სსრ დასავლეთი ოლქების დაუშრობელ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან და წვრილი დასახლებული პუნქტებიდან	3.500-მდე	—	„
4. მოქალაქეები, რომლებიც გადადიან კოლმეურნეობების დაბებში ლიტვის სსრ დასაშრობ და დაშრობილ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან	7.000-მდე[1])	1.225 მანეთი	„
5. მოქალაქეები, რომლებიც გადადიან ლიტვის სსრ დაუშრობელ მიწებზე განლაგებული ხუტორებიდან:			
საბჭოთა მეურნეობების დაბებში.	7.000-მდე[1])	1.225 მანეთი	„
კოლმეურნეობების დაბებში	7.000-მდე	—	„

	კრედიტის ოდენობა ერთ ოჯახზე (მანეთი)	დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე	კრედიტით სარგებლობის ვადა და მისი დაფარვის პირობები
6. ლიტვის სსრ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკები, რომლებიც დაქირავებულ ბინებში ცხოვრობენ მიწების დამრობის გეგმის შესაბამისად გასაუქმებელ ხუტორებში[2])	7.000-მდე	—	15 წლამდე, დაფარვა დაიწყოს კრედიტის მიღების შემდეგ მესამე წლიდან

1) კრედიტის დანარჩენი ნაწილი დაიფარება:
1.000 მანეთი—საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ხარჯზე. კოლმეურნეობებს რჩევა ეძლევათ დაფარონ კრედიტი ასეთივე ოდენობით კოლმეურნეობათა შესაბამისი ფონდების სახსრების ხარჯზე;
4.775 მანეთამდე — გადასასახლებელი ოჯახების სახსრების ხარჯზე 15 წლის განმავლობაში, მოყოლებული კრედიტის მიღების შემდეგ მეხუთე წლიდან.

2) საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს უფლება ეძლევათ დაფარონ კრედიტი 1.000 მანეთამდე ოდენობით ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ხარჯზე. კოლმეურნეობებს რჩევა ეძლევათ დაფარონ კრედიტი ასეთივე ოდენობით კოლმეურნეობათა შესაბამისი ფონდების სახსრების ხარჯზე.

შენიშვნები: 1. კოლმეურნეობებს რჩევა ეძლევათ დაფარონ საკუთარი სახსრების ხარჯზე ამ დანართის 1-ლ და მე-3 პუნქტებში გათვალისწინებული კრედიტი 35 პროცენტის ოდენობით და ამ დანართის მე-5 პუნქტში გათვალისწინებული კრედიტი 1.225 მანეთის ოდენობით.

2. სამამულო ომის ინვალიდებსა და სხვა კატეგორიათა მოქალაქეებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად **იღებენ უპროცენტო სესხს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების** მშენებლობისათვის, უფლება ეძლევათ აგრეთვე მიიღონ უპროცენტო სესხი ამ სახლების კაპიტალური რემონტისათვის, მათი გაზიფიკაციისა და წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიერთებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ლარინი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 საქართველოს სსრ სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამყენების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის და „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 5 იანვრის № 3 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 1 ოქტომბერი. № 674

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 1 ოქტომბრის № 674 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს სსრ სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის სამსახურის ძირითადი ამოცანებია: სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვა და კვლავწარმოება, გარეულ ნადირზე ნადირობის წესების, ვადებისა და ნებადართული ხერხებისადმი ზედამხედველობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

2. სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვას, გარეულ ნადირზე ნადირობის წესების, ვადებისა და ნებადართული ხერხებისადმი ზედამხედველობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახორციელებენ ნადირობის სახელმწიფო ინსპექცია სახელმწიფო ინსპექტორთა და ეგერთა მეშვეობით, სახელმწიფო ნაკრძალთა და სამონადირეო მეურნეობათა მუშაკები, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების კავშირი, სახალხო დეპუტატთა ადგი-

ლობრივი საბჭოების აღმასკომები, შინაგან საქმეთა ორგანოები, ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციები და ნადირობის საზოგადოებრივი ინსპექტორები.

3. რესპუბლიკის სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის ორგანოთა შემადგენლობაში შედიან:

— საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო;

— აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციები;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო სამონადირეო ინსპექცია;

— თბილისისა და ქუთაისის საერაონთაშორისო სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციები.

4. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობს სამონადირეო ზედამხედველობის მთელი სისტემის მუშაობას და კონტროლს უწევს მას.

5. სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებენ კონტროლს იმისადმი, რომ ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ, თანამდებობის პირმა და მოქალაქემ დაიცვას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ბრძანებანი, ინსტრუქციები და მითითებანი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვისა და კვლავწარმოების და ნადირობის რეგულირების საკითხებზე;

ბ) მონაწილეობენ გარეულ ნადირთა მარაგის გადიდების, მათი ხელოვნური მოშენებისა და აკლიმატიზაციის ღონისძიებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში;

გ) შეიმუშავებენ და წარადგენენ დასამტკიცებლად დადგენილი წესით ნადირობის წესებისა და ვადების, გარეულ ნადირთა დაცვისა და კვლავწარმოების საკითხებზე დებულებათა და ინსტრუქციების პროექტებს;

დ) აძლევენ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის, აკლიმატიზაციის, მოშენებისა და სხვა მიზნებისათვის გარეულ ნადირთა მოპოვებისა და ჭერის უფლებას;

ე) ხელს უწყობენ სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დაცვისა და კვლავწარმოების ახალი ეფექტიანი მეთოდების დანერგვას, უზრუნველყოფენ სტიქიური უბედურებისაგან გარეულ ნადირთა ხსნის სამუშაოთა განხორციელებას;

ვ) ახორციელებენ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მომტან მტაცებელთა რაოდენობის რეგულირების მიზნით;

ზ) დაწესებულ ვადებში უგზავნიან შესაბამის ორგანოებს მასალებს ნადირობის წესებისა და ვადების დარღვევის შესახებ დამრღვევ პირთა სისხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემად, უდგენენ დამრღვევთ სარჩელს სამონადირეო მეურნეობისათვის, სახელმწიფო სამონადირეო ფონდისათვის მიყენებული ზარალის გამო;

თ) აჯარიმებენ ადმინისტრაციული წესით ნადირობის წესების დამრღვევთ ადმინისტრაციული კომისიებისათვის მიმართვის გარეშე;

ი) ახორციელებენ მოსახლეობაში, სოფლის მეურნეობის, საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა შორის მასობრივ ახსნა-განმარტებითს მუშაობას გარეულ ნადირთა დაცვის საკითხებზე;

კ) ხელმძღვანელობენ ნადირობის საზოგადოებრივ ინსპექტორთა მუშაობას.

6. ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორები დაკავებული თანამდებობის მიხედვით არიან: საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი და მისი მოადგილე, აგრეთვე განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტები, ნადირობისმცოდნეები, სამონადირეო მეურნეობათა დირექტორები, ნადირობის სახელმწიფო ინსპექციათა უფროსები და ინსპექტორები.

7. ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორები და ეგერები ოპერატიული მუშაკები არიან და ზედამხედველობას უწევენ არსებული კანონმდებლობის შესრულებას ნადირობის დარგში საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე.

8. ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორები სამსახურის დროს ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ამ დებულებით, საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულებით, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით.

II. სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის უფლება-მოვალეობანი

9. ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორებს უფლება აქვთ და მოვალენი არიან:

ა) საბჭოთა ორგანოებზე, მოსახლეობაზე, მონადირეებზე, საეგერო სამსახურისა და ტყის დაცვის მუშაკებზე, თევზის დაცვასა და წყლის ინსპექციაზე, ნადირობის საზოგადოებრივ ინსპექტორებსა და ბუნების დაცვის ინსპექტორებზე დაყრდნობით განახორციელონ მუშაობა სამონადირეო ზედამხედველობის გაძღოლისათვის საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების თანახმად;

ბ) მოაწყონ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა სახელმწიფო სამონადირეო ფონდის დასაცავად და ფართოდ ჩააბან მოსახლეობა და საზოგადოებრივი ორგანიზციები გარეულ ნადირ-ფრინველთა დაცვის საქმეში; რეგულარულად მიაწოდონ პრესისა და რადიომაუწყებლობის ადგილობრივ ორგანოებს ინფორმაცია ფაუნის დაცვისა და რაციონალური გამოყენების საკითხებზე;

გ) ხელი შეუწყონ მიწერილ სამონადირეო მეურნეობათა ორგანიზაციას, მათი მუშაობის გაუმჯობესებას და გარეულ ნადირ-ფრინველთა რაოდენობის გადიდება'

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გააკონტროლონ ნადირობის პროდუქციისა და ბეწვეულის დამზადების სისწორე და ებრძოლონ ბეწვეულის უკანონო ვაჭრობას და ძვირფას ბეწვიან ნადირთა ტყავის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებისაგან მონადირეთა თავის არიდებას;

ე) განახორციელონ მუშაობა ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად, წარუდგინონ ოქმები დაჯარიმებისა და კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზემოქმედების სხვა ზომების შესახებ სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის ზემდგომ ორგანოებს;

ვ) უზრუნველყონ სტიქიური უბედურების შედეგად გასაჭირში ჩავარდნილ გარეულ ნადირთა ხსნა;

ზ) ჩამოართვან ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთ უკანონო ნადირობის პროდუქცია და ჩააბარონ იგი სათანადო დოკუმენტებითურთ: ბეწვეული — დამამზადებელ ორგანიზაციებს, ხოლო ნადირობის პროდუქცია — სავაჭრო ორგანიზაციებს შესასყიდ ფასებში, ხოლო გადაუდებელ შემთხვევებში მოახდინონ მისი რეალიზაცია ადგილზე, რის შესახებაც შეადგინონ შესაბამისი აქტი ორი მოწმის მონაწილეობით;

თ) შეამოწმონ როგორც სამონადირეო სავარგულებზე, ისევე გზებზე მყოფი ავტომობილები, რომელთა მფლობელები შემჩნეული არიან ნადირობის კანონთა დარღვევაში, მათი საგზურები, მძღოლის დოკუმენტები, ნადირობის იარაღები;

ი) დააკავონ ნადირობის წესების დარღვევაში შემჩნეული პირები და შეადგინონ აქტები დარღვევათა შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია დამრღვევის ვინაობის დადგენა ადგილზე, მიიყვანონ იგი უახლოეს სასოფლო საბჭოში ან მილიციის ორგანოში;

კ) თვალყური ადევნონ ეგერთა, ნადირობის საზოგადოებრივ ინსპექტორთა მუშაობას და უხელმძღვანელონ მათ;

ლ) შეამოწმონ ფაუნის დაცვის მდგომარეობა მიჩენილი ტერიტორიის ყველა სამონადირეო სავარგულზე;

მ) მოსთხოვონ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა თანამდებობის პირებსა და ცალკეულ მოქალაქეებს ახსნა-განმარტებანი მათ მიერ საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების დარღვევის თაობაზე;

ნ) ჩამოართვან ყოველგვარი (როგორც ცოცხალი, ისევე მოკლული) ნანადირევი, რომელსაც ჰყიდიან ქუჩებში, ბაზრებში, მოედნებზე და საერთოდ ხელზე, აგრეთვე ძვირფას ბეწვიან ნადირთა გამოქნილი და გამოუქნელი ტყავი, რომელსაც დასმული არა აქვს სახელმწიფო დამღა (შტამპი) და აუცილებლად უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს;

ო) ჩამოართვან ნადირობის წესების დამრღვევთ სანადირო იარაღები და ჩააბარონ მილიციის ორგანოებს, სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციების გადაწყვეტილებათა შემდეგ კონტროლი გაუწიონ მათს შესრულებას, რათა ჩამორთმეული ნადირობის პროდუქციის ღირებულება, აგრეთვე მიყენებული ზარალის თანხა შეტანილ იქნეს სახელმწიფო ბანკში საქართველოს სსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეო მეურნეობის სამინისტროს სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ანაგარიშზე;

ბ) დაუბრკოლებლივ შევიდნენ სახელმწიფო და მიწერილ სამონადირეო მეურნეობებში, ნაკრძალებში, აღკვეთილებსა და სხვა სავარგულებში და მოსთხოვონ მათ აღმოფხვრან საქართველოს სსრ ნადირობისა და სამონადირეო მეურნეობის დებულების დარღვევები, ამასთან საჭიროების კვალობაზე დადგენილი წესით დააკისრონ დამნაშავე პირთ პასუხისმგებლობა ამ დარღვევებისათვის.

10. ეგერები მოვალენი არიან:

ა) უზრუნველყონ გარეულ ნადირ-ფრინველთა დაცვა მიჩენილ სამცველოში, მოაწყონ პატრულირება სამონადირეო სავარგულებში აქტივისტ-საზოგადოებრივ მუშაკთა, მილიციისა და სახელმწიფო ტყის დაცვის მუშაკთა მონაწილეობით;

ბ) შეადგინონ ოქმები ნადირობისა და თევზჭერის წესებისა და ვადების დამრღვევებზე;

გ) შეუმოწმონ მონადირეებს სანადირო ბილეთები და გამოავლინონ ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევნი, ჩამოართვან უკანონოდ მოპოვებული პროდუქცია, სანადირო იარაღი და საჭერი საშუალებანი და გადასცენ ისინი შესაბამის ორგანიზაციებს, თვალყური ადევნონ ჯარიმის თანხების გადახდევინებას, აგრეთვე დამრღვევთა მიერ სამონადირეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას;

დ) წესრიგში იქონიონ სასაზღვრე ნიშნები, ანშლაგები, მაჩვენებლები, საკვებურები და საკვები მოედნები;

ე) დაამზადონ საკვები და გამოკვებონ გარეული ნადირი, ხელი შეუწყონ ბეწვეულის დამზადების გეგმების შესრულებას და სახელმწიფოსათვის მის ჩაბარებას;

ვ) თვალყური ადევნონ სამონადირეო ფაუნის მდგომარეობას, აწარმოონ გარეულ ნადირთა აღრიცხვა;

ზ) ებრძოლონ მავნე გარეულ ნადირთ;

თ) განახორციელონ სანადირო ძაღლების დაგეშვა-გაწაფვა;

ი) მიიღონ და მოემსახურონ მონადირეებსა და მეთევზეებს, აწარმოონ მოპოვებული ნადირ-ფრინველისა და თევზის აღრიცხვა;

კ) სრულ წესრიგში იქონიონ სანადირო და თევზსაჭერი ინვენტარი და გამოიყენონ იგი მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით;

ლ) შეიტანონ დღიურებში, სპეციალურ ბარათებში ჩანაწერები მიჩენილ სამცველოში გარეულ ნადირზე ყოველგვარი მეთვალყურეობის შესახებ;

მ) შეასრულონ სამეურნეო სამუშაოები როგორც მიჩენილ სამცველოში, ისევე მთელ სამონადირეო მეურნეობაში, დამტკიცებული გეგმების შესაბამისად;

ნ) განახორციელონ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა გარეულ ნადირ-ფრინველთა დაცვის შესახებ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სსრ კავშირისა და საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს სსრ „წითელ წიგნში“ შეტანილ იშვიათ და გადაშენებად ცხოველთა დაცვას.

11. ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორებსა და ეგერებს ეძლევათ სამსახურებრივი მოწმობები, ფორმის ტანსაცმელი და ენიჭებათ უფლება ატარონ ცეცხლსასროლი იარაღი სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს.

იარაღის მიცემა, ტარება და გამოყენება ხდება დადგენილი წესების შესაბამისად.

სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორები მოვალენი არიან ეცვათ ფორმის ტანსაცმელი და თან ჰქონდეთ იარაღი.

სახელმწიფო სამონადირეო ზედამხედველობის მუშაკთათვის მიცემული იარაღი დამტკიცებული აქვთ მათ და ეკისრებათ პასუხისმგებლობა მისი ჯეროვნად დაცვა-შენახვისა და მოვლისათვის.

12. ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორებსა და ეგერებს ცეცხლსასროლი იარაღი ეძლევათ:

ა) სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას სამონადირეო ზედამხედველობის მუშაკზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი კანონიერი მოთხოვნების მიმართ შეიარაღებული წინააღმდეგობის მოგერიების მიზნით;

ბ) შეუიარაღებელი წინააღმდეგობის შემთხვევაში, მაგრამ იმ შეუიარაღებელი წინააღმდეგობის მოსაგერიებლად, რომელიც საფრთხეს უქმნის სამონადირეო ზედამხედველობის მუშაკის სიცოცხლეს.

ასეთ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სამჯერ გამაფრთხილებელი შეძახილისა და ჰაერში სროლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზედამხედველს შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავის დასაცავად იარაღის გამოყენების შესახებ ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორი და ეგერი ატყობინებს პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს, აგრეთვე თავისი ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობას.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 1 ოქტომბრის № 674 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აპრილის № 253 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 სექტემბრის № 606 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 702 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის წარმოების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 1 ოქტომბრის № 907 დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მავნე მტაცებელი ნადირის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 20 მაისის № 279 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 1 ოქტომბრის № 907 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 405 განკარგულება.

---

72 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილებაში „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-4 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“, რისთვისაც დადგენილების მეორე აბზაცს დაემატოს სიტყვა „ზუგდიდი“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

— „გავრცელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 ოქტომბრის № 569 დადგენილების მე-4 პუნქტის მოქმედება რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებზე — რუსთავზე, ჭიათურაზე, გორზე, ფოთზე, ტყიბულსა და ზუგდიდზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 25 ოქტომბერი, № 706

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ე. ა. მანჯგალაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ე. ა. მანჯგალაძის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეკუთვნოს ე. ა. მანჯგალაძის სახელი ქალაქ სამტრედიის რაიონულ კულტურის სახლს.

2. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გამოსცენ 1983 წელს მონოგრაფია ე. ა. მანჯგალაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ დააწესოს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთათვის ე. ა. მანჯგალაძის სახელობის ერთი სტიპენდია ამ ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

4. საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადოს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ე. ა. მანჯგალაძის შესახებ.

5. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა:

— მიაკუთვნოს ე. ა. მანჯგალაძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას;

— გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, რომელშიც ცხოვრობდა ე. ა. მანჯგალაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 29 ოქტომბერი, № 726

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5, 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II-83 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5

შეკვეთა № 1347 УЕ 08026 ტირაჟი 1580

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

6 35/64

ეროვნული
ბიბლიოთეკა